



მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და გენერალური პრეზუმიის

სახალხოკომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს  
საქმეთა მმართველობის გამოსცემა

1933 წ. ნოემბრის 25.

№ 21

მუხრანის

## შ ი ნ ა რ ს ი

### სახელმწიფო მმართველობა

270. საქართველოს სსრ სახელმწიფო ღებრიანი ბეჭდის ხმარების შესახებ.

### მშენებლობა

271. საქართველოს სსრ-ში საშენი მასალის მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

### მიწა, ტყე, წყალი, ხიდების მუშაობა

272. 1933 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.

273. 1933 წლის მოსავლის შეკრის კარბლის აღების კამპანიის ჩატარების შესახებ.

274. კოლმეურნობათა საკუთრებისათვის სა-  
თესლე ფონდების გამოყოფისა და კოლმეურ-  
ნებს შორის მარცვლეულის შრომა-დღეების მი-  
სედეით განაწილების წესის შესახებ.

### ვაჭრობა, მომარაგება

275. საქართველოს სსრ-ში თამბაქოს საწყობ-  
ების მშენებლობის შესახებ.

### კომუნალური და საზინაო მუშაობა

276. სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებ-  
ების შესახებ.

277. სადგომების დაკორაგების სფეროში სარე-  
წაო კოოპერატიული არტელებისათვის (ამხანა-  
გობებისათვის) მინიჭებული შეღავათების ურუ-  
მუნეთა და უსინათლოთა შენაერთების საწარ-  
მო ორგანიზაციებზე გავრცელების შესახებ.

278. საგარეგოს რაიონის სარაიონო აპარა-  
ტის მომუშავეთა საცხოვრებელი ფართობით  
უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა  
შესახებ.

### ფინანსები

279. „1933 წელს სოფლის მოსახლეობის თეთ-  
დაბეგერის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული  
1933 წ. ივლისის 25-ის დადგენილების მე-8 მუ-  
ლის შეცვლის შესახებ.

### განათლება


280. საქართველოს სსრ განათლების სახალხო  
კომისარიატის სისტემის უმაღლესი სასწავლებ-  
ლების მშენებელთა საშემოდგომო კომპლექტის  
სოციალური შედგენილობისა და დამატე სსსწავ-  
ლებლების 1933/1934 წლის საშემოდგომო კომ-  
პლექტის ანგარიშში საქართველოს სსრ არაქველ  
უმიკროსობათა და კვლევითად ჩამორჩენილ  
რაიონთათვის ადგილების დაბტ მზრუნვის შე-  
სახებ.

281. 1933/1934 სასწავლო წელს დაწესებითი  
და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო წიგნ-  
ების თავის დროზე შემოზიდვის ღონისძიებათა  
შესახებ.

282. მასწავლებელთა და პედაგოგებისათვის  
მომუშავეთათვის ლიტერატურის შესაძენად შე-  
ღავათიანი პირობების დაწესების შესახებ.

283. ბეჭდვითს ნაწარმოებებზე საავტორული  
აღნიშვნების შესახებ.

284. „უღალესი მშენებლობის მქონე სახელ-  
მწიფო წიგნთსაცემებისათვის საქართველოს სსრ



ის ტერიტორიაზე გამოხული გამოცემების მიწოდების თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის ა ლიტერის მე-4 პუნქტის და მე-8 და 12 მუხლების შეცვლისა და მე-9 მუხლის ამოშლის შესახებ.

283. ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის შესახებ.

**ჯანმრთელობის დაცვა**

286. კურორტ წყალტუბოს სამთო-სასანიტარო ზონის გამსაზღვრის შესახებ.

**სოციალური უზრუნველყოფა**

287. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დეპარტამენტის მე-5 მუხლისა, მე-8 მუხლის 6\* პუნქტისა და მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

**სისხლის სამართალი**

288. სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ბოლო სიტყვების შეცვლის შესახებ.

**270. დადგენილება ც.ა.კ. და ს. ძ. ს.**

**საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბიანი და სათანადო დაწესებულების თუ პირის სახელწოდებიანი ბეჭდის ხმარების უფლება აქვს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ეკონომიურ საბჭოს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმეთა მმართველობას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას, საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს და ცენტრალურ სამმართველოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახელმწიფო არბიტრაჟს, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან და სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამოუკიდებელ დაწესებულებებს, საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურას;

ბ) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს და მათ დამოუკიდებელ განყოფილებებს;

გ) სახალხო სასამართლოებს, პროკურორებს, გამომძიებლებს, სახელმწიფო სანოტარო კონტორებს, სასამართლოს აღმასრულებლებს, სასწავლებლებს, სამეცნიერო-საკვლევო და სამეცნიერო დაწესებულებებს;

დ) სასოფლო საბჭოებს;

ე) იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ მათი დებულებებისა და წესდებების ან განსაკუთრებული დადგენილებების თანახმად.

2. პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის შენახვისა და კანონიერად ხმარებისათვის ეკისრება იმ უწყებისა და დაწესებულების მეთაურს, რომელსაც მინიჭებული აქვს ამ ბეჭდის ხმარების უფლება.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდები შზადდება, საგრავერო სახელოსნოებში მხოლოდ მილიციის სათანადო სამმართველოს წევრთაგან; მილიციის სამმართველოები აწარმოებენ ბეჭდების შეკვეთისათვის გაცემულ ნებართვათა მტკიცე აღნუსხვას.

4. ლერბიანი ბეჭდების შეკვეთისათვის ნებართვა გაიცემა: 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა ბეჭდებისა—ამ დაწესებულებათა მოთხოვნით; „გ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნულ დაწესებულებათა და პირთა ბეჭდებისა—რესპუბლიკანური მასშტაბით მომქმედ ხელმძღვანელთა მოთხოვნით; „დ“ პუნქტში აღნიშნულ დაწესებულებათა ბეჭდებისა—სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების მოთხოვნით.

5. საგრავერო სახელოსნოები მოვალენი არიან აწარმოონ საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდების შეკვეთის დაეთრები და იქონიონ ამ დაეთრებთან ყველა გამამართლებელი დოკუმენტი.

6. უკეთუ საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭედი დაკარგულ იქნა, სათანადო დაწესებულება და თანამდებობის პირი დაუყოვნებლივ აცნობებს ამას იმ ორგანოს, რომელმაც გასცა ბეჭდის დამზადების ნებართვა, და მოახდენს პუბლიკაციას ოფიციალურ ბეჭდების ორგანოებში.

7. უკეთუ დაწესებულებისა და თანამდებობის პირისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდის ხმარება საჭირო აღარ არის, ბეჭედი მოსასპობად ეგზავნება მისი დამზადების ნებართვის გამცემ ორგანოს.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდის დამზადებისათვის სათანადო ნებართვის გარეშე და საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდის დამზადების მიზნით ყალბი ნებართვის შედგენისა და გამოყენებისათვის დამნაშავე მიიქცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71 და 108 მუხლების თანახმად.

9. ინსტრუქციას ლერბიანი ბეჭდის შეკვეთის ნებართვის გაცემის წესისა, ამ შეკვეთის აღსრულების წესისა და საგრავერო სახელოსნოების მიერ ანგარიშგების წარმოების წესის შესახებ გამოსცემს საქართველოს სსრ მილიციის მთავარი სამმართველო.

10. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის აპრილის 10-ის დადგენილება „სახელმწიფო ლერბიანი ბეჭდის ხმარების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 5).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის შავ. შ. ვარამაშვილი.

# მ უ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

## 271. დადგენილება ს.კ.ს.



საქართველოს სსრ-ში საშენი მასალის მრეწველობის მმართველობის განიზაციის შესახებ.

შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სკს-თან) მიერ საშენი მასალის მრეწველობისათვის კონკრეტული და უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის უზრუნველყოფისა და აგრეთვე საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების შემცირების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

1. შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სკს-თან) გამგებლობაში მყოფი საშენი მასალისა და არასამაღრო წილისეულის ტრესტი („საქსაშმასტრესტი“) გაუქმებულ იქნეს.

2. მოწყობილ იქნეს შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სკს-თან) სისტემაში სამეურნეო ანგარიშზე გამოყოფილი და ტრესტის უფლებებით მომქმედი (სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების დებულების 15—23 მუხ.) დამოუკიდებელი სამთო-დამმუშავებელი მრეწველობის სამმართველო, რომლის შედგენილობაშიაც ჩართულ იქნეს გაუქმებული ტრესტის („საქსაშმასტრესტი“) ყველა ის საწარმო, რომელიც ამუშავებს მარმარილოს, სახურავ ფიქალს და სალიტოგრაფიო ქვას და ეწევა ბითუმის წარმოებას.

3. გაუქმებული ტრესტის („საქსაშმასტრესტის“) საშენი მასალის დამმუშავებელი საწარმონი (აგურ-კრამიტის ქარხნები, კირის ქარხნები, საშენი ქვის და ცარცის დამმუშავება, თბაშორ-ჩამოსხმელი ქარხანა, გლაუბერის მარილის წარმოება) გადაყვანილ იქნენ სამეურნეო ანგარიშზე, დამოუკიდებელი იფირდიული პირის უფლებების მინიჭებით, და დაექვემდებარენ უშუალოდ შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქ. სსრ სკს-თან) მის აპარატში არსებული საშენი მასალის სექტორის მეშვეობით.

4. წინადადება მიეცეს შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქ. სსრ სკს-თან):

ა) გაანაწილოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გაუქმებული ტრესტის („საქსაშმასტრესტის“) ქონება, ფასეულობა და საბრუნავი სახსარი, 1933 წლის აგვისტოს 1-ლის ბალანსის მიხედვით, ამა დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნულ საწარმოთა შორის და განსაზღვროს მათი საწესდებო კაპიტალები;

ბ) დაამტკიცოს ახლად მოწყობილ საწარმოთა წესდებები;

გ) გაანაწილოს გაუქმებული ტრესტის („საქსაშმასტრესტის“) კადრები;

დ) დანიშნოს, სახელმწიფო სამრეწველო ტრესტის დებულების შესაბამისად, ახლად მოწყობილ საწარმოთა ხელმძღვანელები.

5. მუშაობის მოცულობის გაფართოების გამო საჭიროდ იქნეს ცნობილი შიძმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (საქ. სსრ სკს-თან) აპარატის შტატების გადიდება, და წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მუშათა და ვლესთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—დაადგინოს, აღნიშნულ რწმუნებულთან შეთანხმებით, დამატებითი საშტატო ერთეულებების რიცხვი და ნომენკლატურა. მიენდოს იმავე ორგანოებს—დაადგინონ ახლად მოსაწყობი სამთო-დამმუშავებელი მრეწველობის სამმართველოს სტრუქტურა და შტატები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მ.გ. ვ. ლუნევიჩი.

1933 წ. აგვისტოს 1.

ტვილით

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

272. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.პ. (ბ) 1933 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.

1933 წლის საშემოდგომო თესვის გეგმის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი აღგენენ:

I. 1933 წლის საშემოდგომო თესვის გეგმა განისაზღვროს 271.500 ჰექტარით, მათ რიცხვში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებში — 15.100 ჰექტ., კოლმეურნეობებში — 85.500 ჰექტ., აქედან იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომხაზურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები — 47.900 ჰექტ., და ერთპიროვნულ მეურნეობებში 170.900 ჰექტ., შემდეგი განაწილებით კულტურებისა და სექტორების მიხედვით:

კულტურები	საბჭოთა მეურნეობები	კოლმეურნეობები	მათ რიცხვში კოლმეურნეობები, რომელთაც მომხაზურებას უწევს სამანქანო-სატრაქტ. სადგ.	ერთპიროვნული მეურნეობები	სულ
ბობაკი . . . . .	11.300	74.800	42.100	55.700	241.800
ქერი . . . . .	2.000	6.200	2.700	12.800	21.000
ჭვავი . . . . .	—	700	400	400	1.100
სულ მარცვლეული . . . . .	13.300	81.700	45.200	68.900	263.900
საკვები ბალახი . . . . .	1.500	3.000	2.500	600	5.100
ბოსტნეული . . . . .	300	800	200	1.400	2.500
სულ ნათესები . . . . .	15.100	85.500	47.900	170.900	271.500

დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული საშემოდგომო კულტურების თესვის განაწილების გეგმა რაიონებისა, კულტურებისა და სექტორების მიხედვით.

II. განემარტოს კოლმეურნეობსა და ერთპიროვნულ მეურნეებს, რომ კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება იწარმოებს მხოლოდ იმ ფართობიდან, რომელიც განსაზღვრულ იქნება მათთვის გეგმით ამა დადგენილების საფუძველზე, და რომ იმ ფართობიდან, რომელიც დათესილ იქნება კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობის მიერ ამ გეგმის ზევით, სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება არ იწარმოებს.

III. დადგენილ იქნეს, რომ მოსავლიანობის გადიდების საქმეში 1933 წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს გადამწყვეტ ღონისძიებებს წარმოადგენს:

ა) თესლობრუნვების შემოღება;



- ბ) ნიადაგის სწორი და დრთული მომზადება;
- გ) თესვის უფრო ხელსაყრელ ვადებში ჩატარება;
- დ) მწკრივად თესვა;
- ე) თესვის სწორი ნორმები;
- ვ) თესლის გადარჩევა, გაწმენდა, დახარისხება და შეწამლვა;
- ზ) სოფლის მეურნეობის მანებლებთან ბრძოლა როგორც გაფრთხილებითი აგროტექნიკური და სხვ. ღონისძიებების გამოყენებით, ისე მანებელთა უშუალო განადგურებით;
- თ) სარეველა მცენარეებთან ბრძოლა თანადროული აგროტექნიკისათვის ცნობილი ყველა საშუალებით.

IV. ზემოაღნიშნულის მიხედვით, დაწესებულ იქნეს შემდეგი სავალდებულო ღონისძიებები:

ე. თესლბრუნვა.

შემოღებულ იქნეს თესლბრუნვა 341 კოლმეურნეობაში ნახნავის 71.900 ჰექტარზე შემდეგ რაიონებში:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კოლმეურნეობათა რიცხვი	ხნულის ფართობი, რომელზედაც ეროცელდება თესლბრუნვა
1. ახალქალაქის . . . . .	12	6165
2. ახალციხის . . . . .	3	1070
3. ადიგენის . . . . .	2	554
4. სტალინისის . . . . .	28	7919
5. გ ო რ ი ს . . . . .	28	7289
6. კ ა ს პ ი ს . . . . .	26	3764
7. გურჯაანის . . . . .	30	2514
8. სიღნაღის . . . . .	24	9952
9. თელავის . . . . .	24	3042
10. ლაგოდეხის . . . . .	22	3454
11. ტფილისის . . . . .	18	3215
12. ყარაიას . . . . .	26	4774
13. ბორჯალოს . . . . .	49	9909
14. ლესქმნბურგის . . . . .	12	950
15. დუშეთის . . . . .	5	585
16. ალბულაზ-მანგლისის . . . . .	10	2379
17. საგარეჯოს . . . . .	10	2151
18. ბაშკიჯეთის . . . . .	2	915
19. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	10	1300
ს უ ლ . . . . .	341	71901

ბ. საშემოდგომო კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება.

1. დამთავრებულ იქნეს ნასვენის (ნაჩხატი) და ნაპურალის (ნაწვერალი, ნამჯარი) მოხენა 154.900 ჰექტარზე არა უგვიანეს შემდეგი ვადებისა:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ფართობი	ხენის დამთავრების ვადები
1. ახალციხის . . . . .	4260	10 სექტემბერი
2. ადიგენის . . . . .	2500	"
3. ტოლოშის . . . . .	1400	"
4. სტალინისის . . . . .	4560	20 აგვისტო
5. გ ო რ ი ს . . . . .	12556	"
6. ქ ა ს პ ი ს . . . . .	4263	"
7. ბორჯომის . . . . .	70	"
8. გურჯაანის . . . . .	12643	10 სექტემბერი
9. სიღნაღის . . . . .	23621	"
10. თელავის . . . . .	10573	"
11. ყვარლის . . . . .	3612	30 სექტემბერი
12. ლაგოდეხის . . . . .	1813	15 "
13. ტფილისის . . . . .	18471	30 აგვისტო
14. ყარაიას . . . . .	1173	30 აგვისტო
15. ბორჩალოს . . . . .	7696	15 ოქტომბერი
16. ლუქსემბურგის . . . . .	5896	30 სექტემბერი
17. დღმეთის . . . . .	6341	25 აგვისტო
18. აღმზღაბ-მანგლისის . . . . .	12755	30 აგვისტო
19. საგარეჯოს . . . . .	6064	30 აგვისტო
20. ბაშკიჩეთის . . . . .	4500	30 აგვისტო
21. თიანეთის . . . . .	3856	25 აგვისტო
22. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	5607	30 აგვისტო

2. იმ მიწებზე, რაც სათოხნი კულტურებიდან (სიმინდი, მზესუმზირა, კარბალი, კარტოფილი და სხვ.) განთავისუფლდება და რაც დანიშნულია საშემოდგომო პურეულისათვის, მოხენა ჩატარებულ იქნეს უშუალოდ მოსავლის აღების შემდეგ იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ამ მიწებზე საშემოდგომო კულტურების თესვის ჩატარება არა უგვიანეს თესვის დამთავრებისათვის ზემოდადგენილი საბოლოო ვადებისა.

3. საშემოდგომო კულტურებისათვის ანსვენისა (ნაჩხატი) და ნაპურალის (ნაწვერალი, ნამჯარი) მოხენის სიღრმე დადგენილ იქნეს არა უმცირეს 18-20 სანტიმეტრისა, მოხენის სიღრმის შემცირების დაშვებით მხოლოდ იმ ნაკვეთებზე, სადაც სახნავი ფენის სიმძლავრე 20 სანტიმეტრზე ნაკლებია.

4. უზრუნველყოფილ იქნეს მთელი მინდვრის ერთნაირი სიღრმით მოხენა, აიკრძალოს ფიგურული მოხენა; შემოიხნას სერელების (საქცევის) კიდურები გასწვრივ და გასწორდეს ხარეხები ტრაქტორით ან ცოცხალი საწვეი ძალით.

5. ვინაიდან ანეულები ყველგან უკვე დაიფარა სარეველა ბალახებით, ამიტომ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მათი დამუშავება (აოშვა, კულტივაცია), რაც დამთავრდეს არა უგვიანეს აგვისტოს 25-ისა; შემდგომში ჩატარებულ იქნეს ხნულის დამუშავება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ხნულზე აღმოცენება სარეველა მცენარეები.

6. ჩატარებულ იქნეს ვაფხვიეობა უშუალოდ თესვის წინ, ამასთან მიღწეულ იქნეს ხნულის სრული მომზადება და მოსწორება; იმ ნაკვეთებზე, სადაც თესვა გაბნევით ჩატარდება, თესვის წინ წარმოებული ვაფხვიეობით მიღწეულ უნდა იქნეს მხოლოდ საჭირო მომზადება და არა ხნულის ზედაპირის მოსწორება; გაბნევით თესვის დროს თესლის სათანადო სიღრმეზე მოთავსება მიღწეულ უნდა იქნეს წინასწარი ან შემდგომი კულტივაციითა და ფარცხვით.

7. ჩატარებულ იქნეს ყველგან ხნულის გაწმენდა სიმინდისა და მზესუმზირას ღეროებისა და ძირებისაგან (ღრმა ჩახებით ან ხელით ამოგლეჯით), ბურქებისაგან (ამოძირკვა) და ქვებისაგან, ყველაზე უფრო მავნებელი მრავალწლიანი სარეველა ბალახების ამოგლეჯა, მიჯნებისა და ვზების კიდურების მოთიბვა და მოხევა, არხების შემოთიბვა, ხნულის მახლობლად მდებარე ცარიელი ადგილების მოთიბვა და დახენა.

გ. თესვის ვადები.

1. ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო პურეულის თესვა შემდეგ ვადებზე:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	დაწყება	დამთავრება
1. ახალციხის . . . . .	20 სექტემბერი	20 ოქტომბერი
2. ადიგენის . . . . .	20 "	20 "
3. ტოლოშის . . . . .	20 "	20 "
4. სტალინისის . . . . .	15 "	20 "
5. გორის . . . . .	25 აგვისტო	20 "
6. კასპის . . . . .	20 სექტემბერი	20 "
7. ბორჯომის . . . . .	15 "	15 "
8. გურჯაანის . . . . .	15 "	25 "
9. სიღნაღის . . . . .	15 "	25 "
10. თელავის . . . . .	10 "	25 "
11. ყვარლის . . . . .	1 ოქტომბერი	5 ნოემბერი
12. ლაგოდეხის . . . . .	1 "	30 ოქტომბერი
13. ტფილისის . . . . .	10 სექტემბერი	20 "
14. ყარაიას . . . . .	25 "	25 "
15. ბორჩალოს . . . . .	25 სექტემბერი	5 ნოემბერი
16. ლუქსემბურგის . . . . .	25 "	30 ოქტომბერი
17. დუშეთის . . . . .	10 "	10 "
18. აღბელაბ-შანგლისის . . . . .	10 "	15 "
19. საგარეჯოს . . . . .	5 "	25 "
20. ბაშკინეთის . . . . .	10 "	15 "
21. თიანეთის . . . . .	1 "	10 "
22. სამხ.-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	15 "	30 "



2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს დიფერენცირებულყოფიან თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადები რაიონის ფარგლებში ცალკე მასივებისა და ნაკვეთების და აგრეთვე სოფლებისა და კოლმეურნეობების ნიადაგისა, კლიმატურ და სხვა პირობებთან შეფარდებით.

#### დ. მწკრივად თესვა.

ჩატარებულ იქნეს საშემოდგომო მარცვლეულის მწკრივად თესვა 65.500 ჰექტარზე; მათ რიცხვში საბჭოთა მეურნეობების მთელ ფართობზე—13.200 ჰექტ., იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—45.000 ჰექტ., და აგრეთვე შემდეგი რაიონების იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას არ უწევენ: ახალქალაქის—500 ჰექტარზე, ადიგენის—200 ჰექტარზე, ტფილისის—2.700 ჰექტარზე, ლუქსემბურგის—1.000 ჰექტარზე, დუშეთის—600 ჰექტ., აღბულახ-მანგლისის—1.300 ჰექტარზე და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—1.000 ჰექტარზე—(ხოლო სულ 7.300 ჰექტარზე.)

#### ე. თესვის ნორმები.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს შემოიღონ სავალდებულო აგრო-ღონისძიებათა სახით საშემოდგომო პურეულის თესვის ნორმები გაბნევით და მწკრივად თესვისათვის, რაც უზრუნველყოფს ყანის სათანადო სისწირეს, თესლის ჯიშისა და ხარისხის, ნიადაგის პირობებისა და სხვ. მიხედვით. დაეკისროს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს თვალყური ადევნოს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებში თესვის სწორი ნორმების განხორციელებას.

#### ვ. ხარისხოვანი თესლის ნათესები.

ჩატარებულ იქნეს, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ გეგმასთან შეფარდებით, თესვა ხარისხოვანი თესლით „უკრაინკა“ 14.415 ჰექტარზე, „კოოპერატორკა“—17.190 ჰექტარზე და მასობრივი შერჩევის „დოლის-პური“—25 ჰექტარზე, ხოლო სულ 31.630 ჰექტარზე. მათ რიცხვში სახელმწიფო ხარისხოვანი ფონდის ხაზით: „უკრაინკა“—585 ჰექტ., „კოოპერატორკა“—2.340 ჰექტ., „დოლის-პური“—25 ჰექტ. და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ფონდის ხაზით „კოოპერატორკა“—3.940 ჰექტ.

## ბ. თესლის გაწმენდა და შეწამლევა.



1. ჩატარებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მთელი სათესი მასალის გაწმენდა წინასწარ განნიავებელ-დამხარისხებლებზე, ხოლო შემდეგ ტრიერებზე, და მოხდეს მათი შეწამლევა; დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს თესლის გაწმენდა და მისი მშრალი წესით შეწამლევა, რაც დამთავრებულ იქნეს 15-20 დღით ადრე თესვის დაწყებამდე; გაწმენდისა და მშრალი წესით შეწამლევის მუშაობის ორგანიზაცია მოეწეოს ისე, რომ შეწამლევა სწარმოებდეს უშუალოდ მარცვლის გაწმენდის შემდეგ.

2. ერთპიროვნულ მეურნეთა თესლის გაწმენდისა და შეწამლევის უზრუნველყოფის მიზნით დაეცალს სასოფლო საბჭოებს შეიძინონ განნიავებელ-დამხარისხებლებისა, ტრიერებისა, შემწამლეველებისა და შხამების სათანადო რაოდენობა და მოაწყონ მარცვლის გაწმენდი-შემწამლეველი სტაციონალური და მოძრავი პუნქტები; აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის საჭირო საშუალებანი გამოიხატულ იქნეს ერთპიროვნულ მეურნეობებისათვის მიზნობრივი შენატანის დადგენით.

3. დადგენილ იქნეს, რომ მთელი სათესლე მასალის გაწმენდისა და შეწამლევისათვის პასუხისმგებელი არიან: საბჭოთა მეურნეობებში—საბჭოთა მეურნეობის დირექცია, იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ—სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექცია, ხოლო იმ კოლმეურნეობებში, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურებას არ უწევენ, და აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეობებში—სასოფლო საბჭო და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილება.

4. ჩატარებულ იქნეს 1933 წლის აგვისტოსა და სექტემბერში სათესლე მასალის ხარისხის გასინჯვა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში.

### თ. საგაზაფხულო კულტურებისათვის ნიადაგის მძრალად მოხვნა.

1. ჩატარებულ იქნეს მძრალად მოხვნა ბაშვისათვის მარცვლეულ კულტურებისა და სათიბებისაგან განთავისუფლებულ მიწებზე—ბორჩალოს რაიონში—5.000 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—2.300 ჰექტ.), რაც დამთავრდეს არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა; ყარაიას რაიონში—1.900 ჰექტ. (მათ რიცხვში საბჭოთა მეურნეობებში—700 ჰექტ. და კოლმეურნეობებში—100 ჰექტ.), რაც დამთავრდეს არა უგვიანეს ოქტომბრის 30-ისა; ლუქსემბურგის რაიონში—300 ჰექტ. (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში 130 ჰექტ.), რაც დამთავრდეს არა უგვიანეს ნოემბრის 1-ისა; სილნალის რაიონში—600 ჰექტ. (მათ რიცხვში—კოლმეურნეობებში—170 ჰექტ.), რაც დამთავრდეს არა უგვიანეს ნო-

ემბრის 15-ისა; გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში მძრალად მოხენა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

ბამბისაგან განთავისუფლებული დანარჩენი მიწების მოხენა სამშისათვის ჩატარებულ იქნეს ბამბის მოსავლის სავსებით აღებისთანავე ყოველ ცალკეულ ნაკვეთზე ისე, რომ 1934 წელს ბამბის დასათესად დანიშნულ მთელ ფართობზე მძრალი დახენა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს დეკემბრის 15-ისა.

ბამბისათვის ნიადაგის მოხენა ჩატარდეს არა ნაკლებ ვიდრე 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე.

2. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხენა ქარზლისათვის 4.500 ჰექტარზე, აქედან კოლმეურნეობებში 3.920 ჰექტ., მათ რიცხვში: სტალინისის რაიონში—2.500 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში 2.300 ჰექტ.), მოხენის დამთავრებით არა უგვიანეს სექტემბრის 30-ისა; გორის რაიონში—1.100 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში—850 ჰექტ.), რაც უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს ოქტომბრის 20-ისა, და კასპის რაიონში—900 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში—770 ჰექტ.), დამთავრებით არა უგვიანეს სექტემბრის 30-ისა.

ქარზლისათვის ნიადაგის მოხენა ჩატარდეს არა ნაკლებ, ვიდრე 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე.

3. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხენა თამბაქოსათვის 2.400 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში 1.645 ჰექტ.), მათ რიცხვში ლაგოდეხის რაიონში—1.600 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში—1.500 ჰექტ.), სიღნაღის რაიონში—700 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში 100 ჰექტ.) და ყვარლის რაიონში—100 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში 45 ჰექტ.)—ყველა რაიონში ხენის დამთავრებით არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

თამბაქოსათვის ნიადაგის მოხენა ჩატარდეს არა ნაკლებ ვიდრე 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე.

4. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხენა მზესუმზირისათვის სიღნაღის რაიონში 4.500 ჰექტარზე (მათ რიცხვში შირაქის საბჭოთა მეურნეობაში—500 ჰექტ. და კოლმეურნეობებში—1.500 ჰექტ.), ხენის დამთავრებით არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

5. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხენა ბოსტნეულისათვის 5.190 ჰექტარზე (აქედან კოლმეურნეობებში—1710 ჰექტ.) შემდეგ რაიონებში: ახალციხის—185 ჰექტ. (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—75 ჰექტ.), სტალინისის—710 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—160 ჰექტ.), გორის—1040 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—500 ჰექტ.), კასპის—290 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—90 ჰექტ.), გურჯაანის—580 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—180 ჰექტ.), სიღნაღის—390 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—110 ჰექტ.), ტფილისის—1715 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—515 ჰექტ.), საგარეჯოს—280 ჰექტ.

ტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—80 ჰექტ.), ყველა რაიონში მოხე-  
ნის დამთავრებით არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

გარეგნული

6. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხვნა კარტოფილისათვის 12.330 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—2620 ჰექტ.), შემდეგი განაწილებით რაიონების მიხედვით:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ს უ ლ	მათ რიცხვში კოლ- მეურნეობებში.
1. ახალქალაქის . . . . .	230	130
2. ბოგდანოვის . . . . .	100	10
3. ახალციხის . . . . .	1.990	390
4. ადიგენის . . . . .	710	210
5. ტოლოშის . . . . .	550	200
6. სტალინისის . . . . .	690	160
7. გორის . . . . .	460	140
8. კასპის . . . . .	220	60
9. ბორჯომის . . . . .	410	50
10. გურჯაანის . . . . .	280	30
11. სიღნაღის . . . . .	670	110
12. თელავის . . . . .	325	40
13. ტფილისის . . . . .	570	90
14. ყარაიას . . . . .	10	10
15. ბორჩალოს . . . . .	240	100
16. ლესკემბურგის . . . . .	240	80
17. წალკის . . . . .	780	90
18. დუშეთის . . . . .	490	140
19. ალბულახ-მანგლისის . . . . .	1.270	270
20. საგარეჯოს . . . . .	660	80
21. ბაშკირეთის . . . . .	750	70
22. თიანეთის . . . . .	300	50
23. სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	390	90

მოხვნა ყველა რაიონში დამთავრებულ იქნას ნოემბრის 15-თვის.

7. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხვნა ბალახისათვის 2.220 ჰექ-  
ტარზე (აქედან კოლმეურნეობებში—1.150 ჰექტ.), რაიონებზე შემდეგი განაწი-  
ლებით: ყარაიას—500 ჰექტ. (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—430 ჰექტ.), ბორ-

ჩალოს—720 ჰექტ. (მათ შორის კოლმეურნეობებში—720 ჰექტ.), და ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში—1.000 ჰექტ.; თანაც ყველა რაიონში და საბჭოთა მეურნეობაში მოხვნი დამთავრდეს არა-უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

8. ჩატარებულ იქნეს ნიადაგის მძრალად მოხვნი მარცკლოვან კულტურებისათვის შემდეგი ფართობით: სიმინდისათვის—35.755 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—14.020 ჰექტ.) და თავთავიანი კულტურებისათვის—27.260 ჰექტარზე (მათ რიცხვში კოლმეურნეობებში—7.930 ჰექტ.) შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

რაიონები	ს ი მ ი ნ დ ი			თავთავიანი კულტურები		
	ს უ ლ	მათ რიცხვში კოლმეურ-ში.	აქედან კოლმეურ-ში, რომელშიც მოხვნი უნდა იქნას სატო, სადგ.	ს უ ლ	მათ რიცხვში კოლმეურ-ში	აქედან კოლმეურ-ში, რომელშიც მოხვნი უნდა იქნას სატო, სადგურ.
1. ახალქალაქის . . . . .	—	—	—	1630	370	—
2. ბოჯდანიოვის . . . . .	—	—	—	2300	300	—
3. ახალციხის . . . . .	1510	210	—	1250	370	—
4. ადიგენის . . . . .	1000	200	—	1600	1300	—
5. ტოლოშის . . . . .	—	—	—	350	50	—
6. სტალინისის . . . . .	9320	3300	2.840	4680	1300	2000
7. გ თ რ ი ს . . . . .	4640	2000	2.000	3390	1100	1100
8. კ ა ს პ ი ს . . . . .	3860	1200	1.200	—	—	—
9. ბორჯომის . . . . .	510	10	—	200	50	—
10. გურჯაანის . . . . .	1480	240	240	—	—	—
11. სიღნაღის *) . . . . .	2800	760	460	3000	—	—
12. თელავის . . . . .	1480	940	890	—	—	—
13. ყვარლის . . . . .	200	200	200	—	—	—
14. ლაგოდეხის . . . . .	500	500	500	—	—	—
15. ტფილისის . . . . .	1615	550	—	1480	560	—
16. ბორჩალოს . . . . .	170	120	—	160	90	—
17. ლეკსეშბურგის . . . . .	510	240	—	—	—	—
18. შ ა ლ კ ი ს . . . . .	—	—	—	2500	300	—
19. დუშეთის . . . . .	1000	370	—	800	200	—
20. აღბულაბ-მანგლისის . . . . .	—	—	—	500	300	—
21. საგარეჯოს . . . . .	700	260	260	620	200	200
22. თიანეთის . . . . .	—	—	—	1000	620	—
23. ბაშქეშეთის . . . . .	—	—	—	1000	330	—
24. სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	4370	2920	—	8000	490	—

\*) აქედან ალაზნის საბჭოთა მეურნეობაში სიმინდისათვის 1000 ჰექტარი და შირაქის საბჭოთა მეურნეობაში თავთავიანი კულტურებისათვის 3000 ჰექტ.

ნიადაგის მოხვნა მარცვლეულისათვის ყველა რაიონში დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს ნოემბრის 15-ისა.

9. ნიადაგის მძრაღად მოხვნა მზესუმზირასა, ბოსტნეულისა, კარტოფილისა, ბალახისა დი მარცვლეულისათვის ჩატარებულ იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე.

#### ი. ნაკელის შეტანა.

საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმის თანახმად შეტანილ იქნეს შემოდგომაზე, უშუალოდ მძრაღად ხენის წინ, ნაკელი საგაზაფხულო კულტურებისათვის 6.000 ჰექტარზე; ამასთანავე ნაკელი აუცილებლად ჩახნულ უნდა იქნეს.

#### კ. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლა.

1. ჩატარებულ იქნეს ბრძოლა მინდვრის თავეთან 62.000 ჰექტარზე. წინადადება მიეცეს საქ. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოდგინოს საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მინდვრის თავეთან ბრძოლის ორგანიზაციის გეგმა არა უგვიანეს 1933 წლის აგვისტოს 25-ისა.

2. დაევალოს საქ. ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ჩაატაროს გამოკვლევა იმ ფართობებისა, რომელნიც დაავადებულნი არიან სოფლის მეურნეობის მავნებლებით, როგორც არის კალია, ფარვანა, კარადრინა, ჩორი და სხვა, და მათთან ბრძოლის გეგმა წარუდგინოს განსახილველად სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს სექტემბრის 20-ისა.

#### ლ. სათესლე და სადაზღვეო ფონდები.

1. დამტკიცებულ იქნეს საქ. სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი გეგმა კოლმეურნეობებში საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების სათესლე ფონდებისა და აგრეთვე კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში 15%-იანი სადაზღვეო ფონდების დაგროვების შესახებ.

სათესლე და სადაზღვეო ფონდების დაგროვება დამთავრებულ იქნეს: კასპის, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, ტფილისის, ყარაიას, ბორჩალოს, ლუქსემბურგის და საგარეჯოს რაიონებში—არა უგვიანეს აგვისტოს 25-ისა, ხოლო ახალციხის, ადიგენის, სტალინისის, გორის, წალკის, დუშეთის, აღბულახ-მანგლისის, ბაშკიჩეთის, თანეთის და ბორჯომის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქში—არა უგვიანეს სექტემბრის 20-ისა, და ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ტალოშის და ხევის რაიონებში—არა უგვიანეს ოქტომბრის 1-ისა.

2. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) სარაიონო კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომი-

ტეტს ერთი თვის ვადაზე გამოარკვიონ წარსულ წლებში დაგროვილი სადაზღვევო ფონდების არსებული რაოდენობა და გაცემულ სესხთა რაოდენობა რუნველყოფის მიხედვით. რუნველყოფის მიხედვით დაგროვებული და პასუხისმგებლობაში მისჯილი ფონდების არა მიზნობრივ გამოყენებასა და განთავსებაში დამნაშავე პირნი, როგორც საზოგადოებრივი საკუთრების გამტაცებელნი.

დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარუდგინოს ერთი დეკადის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად დებულება სადაზღვევო სათესლე ფონდების შეგროვებისა, შენახვისა და გამოყენების წესის შესახებ.

მ. მანქანებით მომარაგება და სას.-სამ. იარაღის რემონტი

1. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, მომარაგების სახალხო კომისარიატს, ცეკავშირს, საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, ტრაქტორცენტრს და სხვა ორგანიზაციებს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს—გამოარკვიონ საბჭოთა მეურნეობებისა, კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების კუთვნილი ნიადაგდამმუშავებელი, მარცვალგამწმენდი და სათესი მანქანებისა და იარაღის რაოდენობა და მდგომარეობა, დაანჭარონ მათი რემონტი და არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა მოახსენონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს რემონტის შესახებ.

2. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ.პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს უზრუნველყონ მთესვლებისათვის (კოლექტიური მეურნეობანი და ერთპიროვნული მეურნეობანი) სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიწოდება საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ მიღებული მანქანების მომარაგების გეგმის თანახმად.

3. დაწესებულ იქნეს, რომ იმ კოლექტიურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დროზე რემონტისათვის, რომელთაც მომსახურეობას უწყვენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, და ამ კოლექტიური მეურნეობების მანქანებით მომარაგებისათვის პასუხისმგებელია სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექცია.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მოახსენოს ხუთი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ღონისძიებანი, რაც საჭიროა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და მათ მომსახურეობის ქვეშ მყოფ კოლმეურნეობათა კუთვნილი სასოფლო-სამეურ-

ნეო მანქანებისა და ტრაქტორების რემონტის ორგანიზაციის და უკეთესად გამოყენებისათვის.

V. მოსაველიანობის გასადიდებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებისათვის კონტროლის ვაჭრების მიზნით, წინადადება მიეცეს სარაიონო პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს—გადააქციონ სარაიონო-სამიწათმოქმედო განყოფილებებთან, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებული აგრო-ინსპექციები სადალდებულო აგრო-წესების ჩატარებისათვის ნაშვდილ სახელმწიფო ზედამხედველობის გამწვევ ორგანოებად და აგრეთვე გაშალონ მუშაობა კოლმეურნეობებში ხარისხის ინსპექციითა მასური ფორმების შესაქმნელად.

VI. წინადადება მიეცეს იმავე ორგანოებს დაამთავრონ 1933 წ. აგვისტოს 30-მდე მუშაობა კოლმეურნეობათა საწარმოო გეგმებსა და საკოლმეურნეო ბრიგადების დავალებებში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებებისა და დაზუსტების შეტანისათვის, აგრეთვე დაამთავრონ ამავე ვადაზე თვითეულ ერთპიროვნულ მეურნეობამდე გეგმა-განრიგის დაყვანა და კულაკურ-შეძლებულ მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა მიცემა.

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი გაახსენებენ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და სარაიონო-სამიწათმოქმედო განყოფილებებს, რომ საშემოდგომო თესვის წარმატებით ჩატარებისა და კოლექტიურ მეურნეობებისკენ ერთპიროვნულ მეურნეობათა სწრაფვის გადაწყვეტ პირობას შეადგენს:

ა) კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ხაზით თავიანთ წლიურ დავალებათა დროზე შესრულება, ნატურ-სასყიდლის ხაზით სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის მარცვლის ჩაბარება და სესხის დაბრუნება, რის შემდეგ, საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის სათესლე ფონდების დაუყოვნებლივ დაგროვება, სადაზღვეო სათესლე ფონდების და საფურაეო ფონდების შექმნა;

ბ) ყველა ზემოაჩთვლილი ვალდებულების (ჩაბარება, გადახდა) შესრულებისა და აგრეთვე დაწესებული ფონდების დაგროვების და შექმნის შემდეგ, კოლექტიურ მეურნეობებში დარჩენილი მთელი მარცვლეულის სრულიად განაწილება კოლმეურნეთა შორის, მათ მიერ 1933 წლის იანვრის 1-დან განაწილების დღემდე გამომუშავებული შრომა-დღეების მიხედვით.

2. საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის უაღრესი მნიშვნელობის მქონე ამოცანად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიანიჭა შემდგომი მუშაობის ვაშლა არსებული კოლექტიური მეურნეობების საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის და ამ კოლექტიური მეურნეობების



კულაკური, მენშევიკური და სხვა ანტი-საბჭოთა და ანტი-საკოლმეურნეო ელემენტებისაგან გაწმენვისათვის.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა სამსახურის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, სამანქანო-სატრაქტორო, სადგურების პოლიტგანყოფილებებს, სარაიონო-აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო-სამიწათმოქმედო განყოფილებებს—ფართოდ აჩვენონ მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეებს—ხვალინდელ კოლმეურნეებს—კოლექტიური მეურნეობების მიერ მოპოვებული სამეურნეო მიღწევანი და პოპულარიზაცია გაუკეთონ მათ შორის ამ მიღწევებს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. აგვისტოს 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 191 №-ში 1933 წ. აგვისტოს 28.

**273. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.**

1933 წლის მოსავლის შაქრის კარხლის აღების კამპანიის ჩატარების შეხახებ.

1. განისაზღვროს შაქრის კარხლის ასაღები ფართობი შემდეგი რაოდენობით (ჰექტარებში):

რ ა ი ო ნ ე ბ ი		საბჭოთა საბჭოთა მეურნეობანი.	სხვა სისტემის საბჭოთა მეურნეობანი.	კოლმეურნეობანი.	ინდივიდუალური მეურნეობანი.	ს უ ლ
სტალინისის . . . . .	500	20	2,005	95	2,620	
გორის . . . . .	—	—	728	172	900	
კასპის . . . . .	—	—	550	50	600	
ს უ ლ . . . . .	500	20	3,283	317	4120	

2. 1933 წლის მოსავლის შაქრის კარხლის საერთო მოსავალი საორიენტაციოდ დაწესდეს შემდეგი რაოდენობით (ცენტნერებში):

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ქარხლის საბ- ჭოთა მეურნეო- ბანი.	სხვა სისტემის საბჭოთა მეურ- ნეობანი	კოლმეურნეო- ბანი სამსახ. საფ. წილის ჩაივლით	ინდივიდუალუ- რი მეურნეობა- ბანი	ს ი ა ს ი ა
სტალინისის . . . . .	58.500	2.000	140.350	6.270	207.120
გორის . . . . .	—	—	50.960	11.352	62.312
ჯასპის . . . . .	—	—	38.500	3.200	41.800
ს უ ლ . . . . .	58.500	2.000	229.810	20.922	311.232

8. შაქრის ქარხლის ამოთხრის საბოლოო ვადები ყველა რაიონში დაწესდეს 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე. გადაზიდვა დამთავრდეს არა უგვიანეს 10 ნოემბრისა.

აგარის საბჭოთა მეურნეობაში 207 ჰექტარ ფართობზე, რომელზედაც უნდა დაითესოს საშემოდგომო ხორბალი, ქარხლის ამოთხრა დაწყებულ იქნას 25 სექტემბრიდან.

4. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ქარხნის შეუფერხებელი მუშაობა და ქარხნის ტერიტორიაზე ქარხლის მუდმივი მარაგი არა ნაკლებ 50 ათასი ცენტნერისა, დაწესდეს ქარხლის ამოთხრის და გადაზიდვის შემდეგი კალენდარული ვადები:

1-დან 10 ოქტომბრამდე ამოთხრილ იქნას არა ნაკლებ 30 პროც., ანუ 93.370 ცენტნერი;

10-დან 20 ოქტომბრამდე არა ნაკლებ 40 პროც., ანუ 124.492;

20-დან 31 ოქტომბრამდე დანარჩენი ჰარხალი, ანუ 93.370 ცენტნერი.

6. დამტკიცდეს ქარხნის ამუშავების ვადად 10 ოქტომბერი. საქართველოს მიწისაბკომმა და ტრაქტორცენტრმა უზრუნველყონ 10 ოქტომბრისათვის 50 ათასი ცენტნერი შაქრის ქარხლის ჩაბარება აგარის მიმღებ პუნქტზე და 37.738 ცენტნერის ჩაბარება სხვა მიმღებ პუნქტებზე. ხოლო შაქრის კომბინატმა უზრუნველყოს ქარხლის ამ რაოდენობის მიღება ნედლეულის 10 დღის მარაგის შესაქმნელად.

6. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს საქართველოს მიწისაბკომთან ერთად არა უგვიანეს 20 სექტემბრისა ჩაატაროს მოსავლის გამოკვევა. დეპეშით ეთხოვოს საბჭოთა კავშირის მომარაგების სახალხო კომისარიატს დაეალოს „გლავსახარს“ უმოკლეს ვადაში გამოგზავნოს მოსავლიანობის გამორკვევის ინსტრუქცია.

7. დაევალოს საქართველოს შაქრის კომბინატს (ამხ. შალმანოვს) იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქარხლის კოლმეურნეობა მუშა-ხელით ქარ-

ხლხს ამოთხრის და გადაზიდვის პერიოდში, შეაგროვოს მახლობელ რაიონებში 400 მეშა.

აღნიშნული რაიონების რაიკომების მდივნებმა და სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებათა უფროსებმა ყოველგვარი დახარება აღმოუჩინონ კომბინატს მუშა-ხელის შეგროვებაში.

8. აღნიშნოს საჰაზანო ტრანსპორტის სიმცირე კარხლის გადასაზიდად გორის რაიონში და დაევალოს საქ. გზატრასს (ამხ. ქურდამეს) მობილიზაცია უყოს 5 ავტო-მანქანას 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.

9. წინადადება მიეცეს ა.-კ. რკ-გზების დირექციას (ამხ. როზენცვიგს) 5 ოქტომბრისათვის უზრუნველყოს მისასვლელი ლიანდაგების დაგება გორის, კასპის, კეთისხევის და მეტეხის მიმღებ პუნქტამდე, საბჭოთა კავშირის სახკომ-საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად.

10. დამტკიცდეს 10 მიმღები პუნქტის გახსნა: სტალინისში, გომში, აგარა-ქარხანაში, ქარელში, სკრაში, გორში, გრაკალში, მეტეხში, კეთისხევში და კასპში, ამასთან დაევალოს შაქრის კომბინატს (ამხ. შალმანოვს) დაამთავროს მათი ორგანიზაცია და მოწყობა არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

შაქრის კომბინატმა (ამხ. შალმანოვმა) კარხლის მთესველი რაიონების რაიკომებთან ერთად უზრუნველყოს პუნქტების შევსება მომზადებული და შემოწმებული კადრებით.

11. საქსოფლმეურნეობის რაიკომებმა და სამ. რაოდენობით შეიტანოს კარხლის მთესველ რაიონებში ხელით სამუშაო წვრილი ინვენტარი (სათხრელები, დანები და ორთითები კარხლისა).

დაევალოს მოწესრიგების ტრაქტორცენტრთან ერთად განსაზღვროს კარხლის მექანიზებული ამოთხრის გეგმა იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც მომსახურებას უწევენ სამ.-სატრაქტორო სადგურები, ამასთან უზრუნველყოს რაიონებში მექანიზებული ამოთხრის შეტანილი იარაღების საეკსპლუატაციო და მოამზადოს კადრები მათთვის მომსახურების გასაწევად.

12. სტალინისის, გორის და კასპის რაიონების რაიკომებმა და სამ.-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა უზრუნველყონ კარხლის გაგზავნა მიმღებ პუნქტებზე ამოთხრისთანავე და არ დაუშვან მისი გაქცობა მინდვრად.

კარხლის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად აიკრძალოს ვარცლის გადაფარება კარხლისათვის მინდვრად, ხოლო გადაზიდვის დროს—ჩალის გადაფარება.

13. შაქრის კარხლის ამოთხრის და გადაზიდვის სამუშაოების წარმატებით შესრულების და კოლმეურნეთა უფრო მეტად დაინტერესების მიზნით საქსოფლმეურნეობის ცნობილი, რათა მუდმივი საწარმოო ბრიგადების კარხლის მთხრელთა ჯგუფებმა (რგოლებმა) შეასრულონ კარხლის ამოთხრის სამუშაო იმ უბნებზე, რომლებზედაც ისინი მიმაგრებული იყვნენ მწკრივთა შორის დამუშავების პერიოდში.

14. შაქრის ქარხლის ამოთხრის სამუშაოების ანაზღაურება დაუკავშირდეს ამოთხრილი ქარხლის რაოდენობას და ხარისხს, რისთვისაც მოგვარდეს დეფიციტულ ბრიგადაში თვითთული ჯგუფის მიერ მოთხრილი ქარხლის ზუსტად აღრიცხვა, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას ბრიგადები სათანადო საზომებით. ქარხლის მოსავლის დასაცავად თვითთულ ბრიგადაში ქარხლის მოთხრის და გადაზიდვის პერიოდში გამოყოფილ იქნას სპეციალური კაცი.

15. ქარხლის დამუშავების და აღების მუშაობის ხარისხის მიხედვით (მოსავლიანობის გადიდების მიღწევა, ქარხლის სწორად მოთხრა და გაწმენდა, ამოთხრილი ქარხლის დაცვის ორგანიზაცია, ბრძოლა დანაკარგების და მტაცებლობის წინააღმდეგ, თავის დროზე ჩატანა მიმღებ პუნქტებზე და სხვ.), მოხდეს თვითთული ბრიგადის და ბრიგადირის მიერ შაქრის ქარხალზე გამომუშავებული შრომა-დღეების რაოდენობის გადიდება ან შემცირება 20% ფარგლებში, საბჭოთა კავშირის ცაკის დადგენილების თანახმად.

16. სტალინისის, გორის და კასპის რაიონების რაიკომებმა და სამანქანოსატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა მიიღონ ენერგიული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შაქრის ქარხლის დაცვა გატაცებისა და წინაზედებისაგან მინდვრად და მიმღებ პუნქტებზე.

17. დაევალოს საქართველოს ქომარაგების სახალხო კომისარიატს (ამხ. ქუჭულორისა) უზრუნველყოს შაქრისა და სამრეწველო საქონლის საკურო რაოდენობის თავის დროზე შეტანა მიმღებ პუნქტებზე დამზადებისათვის სტიმულის მისაცემად.

18. დაევალოს „ზაგოტხერნოს“ (ამხ. ფიფიას) უზრუნველყოს პურის სათანადო რაოდენობის შეზიდვა მიმღებ პუნქტებზე შაქრის ქარხლის ჩამბარებელთა მოსამარაგებლად. პური შეზიდულ იქნას არა უგვიანეს ა.წლის 30 სექტემბრისა.

19. წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას (ამხ. თოხაძეს) 1-ლ ოქტომბრისათვის გახსნას ყველა მიმღებ პუნქტზე მიწერილი სალაროები.

20. დაევალოს საქართველოს ტრაქტორცენტრს 5 სექტემბრისათვის წარუდგინოს საქართველოს სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად ნატურალური ანაზღაურების ანგარიში სამ.-სატრ. სადგურების მიერ კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოებისათვის.

21. დაევალოს ქარხლის მთესველ რაიონების სამ.-სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებებს ჩაატარონ 25 სექტემბრამდე ბრიგადირთა კურსები შაქრის ქარხლის ამოთხრის და გადაზიდვის შესასწავლად.

22. წინადადება მიეცეს სტალინისის, გორის და კასპის რაიონების აღმასკომების თავმჯდომარეებს მათი პირადი პასუხისმგებლობით დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა სამინდვრე და მისასვლელი გზების, ხიდების და ბორნების რემონტისა და გაუმჯობესებისათვის, ამასთან ჩააბან ამ მუშაობაში მოსახლეობა

შრომითი მონაწილეობის წესით და უზრუნველყონ სამუშაოების დამთავრება 1 ოქტომბრისათვის.

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1933 აგვისტოს 23.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია ვახ. „კომუნისტის“ 200 №-ში 1933 წ. აგვისტოს 30.

## 274. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

კოლმეურნეობათა საჭიროებისათვის სათესლე ფონდების გამოყოფისა და კოლმეურნეებს შორის მარცვლეულის შრომა-დღეების მიხედვით განაწილების წესის შესახებ.

„კოლმეურნეობათა საჭიროებისათვის სათესლე ფონდების გამოყოფის და კოლმეურნეებს შორის მარცვლეულის შრომა-დღეების მიხედვით განაწილების წესის შესახებ“ ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა.წ. 2 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. მას შემდეგ, რაც თვითეული კოლმეურნეობა შეასრულებს თავის წლიურ ვალდებულებას სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების მზრივ, ჩაბარებს მარცვალს სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მიერ მოცემულ კოლმეურნეობაში შესრულებული სამუშაოების ნატურალური ანაზღაურების წესით და დააბრუნებს სახელმწიფოსაგან მიღებულ სათესლე და სასურსათო სესხს, კოლმეურნეობებმა დაიწყონ სათესლე ფონდების შენახვა საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის, თესლის გამოყოფის გეგმის საფუძველზე, დასაზღვევი სათესლე ფონდების შექმნა თესლის წლიური მოთხოვნილების 10-დან 15 პროცენტამდე (მოსავლის მიხედვით), დასაზღვევ სათესლე ფონდიდან წინად დარიცხულ მარცვლეულის აღდგენა და საფურავე ფონდების შექმნა განსაზოგადოებული მუშა და პროდუქტიული პირუტყვის წლიური მოთხოვნილების ოდენობით ჯოვის განზრახული ვაფართოების გათვალისწინებით.

2. წინადადება მიეცეს ყველა საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს, რაილმასკომებს, რაიმიწვანებს, კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებს, უჯრედების მდივნებს და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს არ დაუშვან მარცვლეულის რაიმე სხვა ფონდების შექმნა, გარდა ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნულ ფონდებისა. საქართველოს სახკომსაბჭო და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი გაფრთხილებას იძლევიან, რომ ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიცემულ იქნებიან უსასტიკეს პასუხისგებაში.

3. მთელი მარცვლეული, რომელიც დარჩება კოლმეურნეობებში მათ მიერ შემოაღნიშნულ ვალდებულებათა შესრულების და დაწესებული ფონდების შექმ-

ნის შემდეგ, დაუყოვნებლივ განაწილდეს მთლიანად კოლმეურნეებს შორის თვითეული კოლმეურნის მიერ 1933 წ. 1-ლ იანვრიდან განაწილების დღემდე გამოკვეთილ შრომა-დღეების მიხედვით.

4. შრომა-დღეების მთელი ის რაოდენობა, რომელსაც კოლმეურნეები გამოიმუშავებენ 1933 წლის მთელი მოსავლის განაწილების შემდეგ, შეტანილი უნდა იქნას იმ შრომა-დღეების ჯამში, რომელთა მიხედვითაც განაწილდება 1934 წლის მოსავალი.

5. წინადადება მიეცეს ყველა საოლქო კომიტეტებს, რაიკომებს, რაი-აღმასკომებს, რაიმიწვანებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და პოლიტგანყოფილებათა უფროსებს, კოლმეურნეებს შორის მარცვლეულის თავის დროზე და სწორად განაწილებისათვის ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ზუსტად გამოარკვიონ, გაღწევის აქტების საფუძველზე, მარცვლეულის საერთო მოსავლის ოდენობა მარცვლეული კულტურების ცალკეული სახეების მიხედვით კოლმეურნობაში მთლიანად და ბრიგადებში, იმ ანგარიშით, რომ თვითეული ბრიგადის მუშაობის ხარისხის და შედეგების მიხედვით (მოსავლიანობის გადიდება, მკის და ლეწვის სისუფთავე, მოსავლის აღების ვადები, ჰურის გატანა, მისი დაცვა გაფუჭებისაგან და სხვ.) მოხდეს ბრიგადის და ბრიგადირის მიერ გამოკვეთილი შრომა-დღეების რაოდენობის გადიდება ან შემცირება 20 პროცენტის ფარგლებში.

ბ) გულდასმით შეამოწმონ კოლმეურნეთა შრომის აღრიცხვა, ამასთან უზრუნველყონ შრომა-დღეების სწორად დაარცხვა და მათი ზუსტად გამოანგარიშება და ჩაწერა კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან მარცვლეულის განაწილების მომენტამდე.

შეამოწმონ შრომა-დღეების ჩაწერის შემოწმება კოლმეურნობათა სარევიზიო კომისიების მიერ და ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და ს.კ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ. 2 აგვისტოს დადგენილების და ამ დადგენილების, აგრეთვე მარცვლეულის განაწილების გეგმის ფართო განხილვა კოლმეურნეთა საერთო კრებებზე და ბრიგადებში.

გ) კოლმეურნეთა ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის მოსამსახურე პირებს, თუ მათ აქვთ შრომა-დღეების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომუშავე კოლმეურნეებს, არ შეიძლება მიეცეს მარცვლეულის იმაზე მეტი ოდენობა, რასაც მოცემულ კოლმეურნობაში საშუალოდ ღებულობს მუდმივი საწარმოო ბრიგადის კოლმეურნე, რომელიც კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა სამუშაოს.

6. დადგენილება გამოკვეთილდეს.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის მდივანი ლ. ბერია.

1933 წ. აგვისტოს 17.

ტფილისი.

გამოკვეთილია „კომუნისტი“-ს 189 №-ში 1933 წ. აგვისტოს 17.

**საქართველო. მომარაგება**

**275. დადგენილება ს.კ.ს.**



საქართველოს სსრ-ში თამბაქოს საწყობების მშენებლობის შესახებ.

„საქართველოსა და აფხაზეთში თამბაქოს საწყობების ქსელის გაფართოების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 11-ის თარიღისა და 692 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

**I**

1. საქართველოს სსრ-ში თამბაქოს საწყობების მშენებლობის დაფინანსების მოცულობა განისაზღვროს 800.000 მანეთის თანხით (წინად გადადებულ 200.000 მანეთის კრედიტთან ერთად).

2. ამისდამიხედვით დამტკიცებულ იქნეს მშენებლობის შემდეგი ობიექტები, ღირებულება და დამთავრების ზღვრული ვადები:

მშენებლობის ობიექტები	სამუშაოების ხასიათი	ტევადობა ტონობით	ღირებულება ათას მან.	დამთავრების ვადა
1. საწყობი სამრეწველო თამბაქოსათვის ლაგოდეგში . . . . .	შენობის დასრულება	500.0	171.0	1933 წ. ნოემბრის 15
2. საწყობი თამბაქოს გადასატვირთად წნორის წყალში . . . . .	ახალი მშენებლობა	200.0	106.0	"
3. საბაზისო საწყობი ზუგდიდში	"	50.0	56.0	1933 წ. ოქტომბრის 25
4. საწყობი თამბაქოს გადასატვირთად საჯავახოს სადგურზე	"	50.0	45.0	"
5. მიღმეული საწყობი სოფ. ძვარში (ქედის რაიონი) . . . . .	შენობის დასრულება	30.0	20.5	1933 წ. სექტემბრის 15
6. საწყობი საექსპორტო თამბაქოსათვის—ლაგოდეგში . . . . .	ახალი მშენებლობა	250.0	235.0	1933 წ. დეკემბრის 31
7. ასეთივე საწყობი—ბათუმში . . . . .	"	100.0	106.0	"
8. საფერმენტაციო კამერები:				1933 წ. ნოემბრის 1
ა) სილნალში . . . . .	"	20.0	20.0	"
ბ) ჩოხატაურში . . . . .	"	20.0	20.0	"
გ) ზუგდიდში . . . . .	"	20.0	20.0	"

ზემოაღნიშნული ვადები მტკიცება და საბოლოო.

3. აღნიშნულ ვადებზე მშენებლობის დამთავრების უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვროს შემდეგი ვადები კრედიტების გაცემისა (აგვისტოს 10-თვის

გაცემული 109.000 მან. ვარდა): სექტემბრის 1-ს—291.000 მან., ოქტომბრის 1-ს—200.000 მან., ნოემბრის 1-ს—125.000 მან. და დეკემბრის 1-ს—75.000 მან.. წინადადება მიეცეს სამრეწველო ბანკის კონტორას, პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყოს სახსრის გაცემა ამ ვადებზე.

4. განისაზღვროს საშენი მასალის შემდეგი საერთო მოთხოვნილება, თვეებზე განაწილებით:

ა) ცენტრალიზებული ფონდებიდან გასაცემი:

მასალის სახელწოდება	ზომის ერთეული	საერთო მოთხოვნ.	აქედან თვიურად			
			სექტემბრისათვის	ოქტომბრისათვის	ნოემბრისათვის	დეკემბრისათვის
1. ხეტყე-მოთი . . . . .	კუბ. მეტ.	340.00	204.0	68.00	34.0	34.0
2. „ დახერხილი . . . . .	„	1400.00	800.0	300.0	150.0	150.0
3. ლურსმანი . . . . .	ტონა	6.00	4.0	2.0	—	—
4. ხარისხოვანი რკინა . . . . .	„	18.00	9.0	9.0	—	—
5. სახურავი რკინა . . . . .	„	14.00	4.0	5.0	5.0	5.0
6. პორტლანდ-ცემენტი . . . . .	„	160.00	60.0	60.0	40.0	—
7. შინა . . . . .	კვ. მეტ.	940.00	240.0	400.0	300.0	—
8. სახურავი მუყაო (ტოლ) . . . . .	„	1620.0	620.0	600.0	400.0	—
9. მოხარშული ხეტი . . . . .	კილო	1170.0	670.0	300.0	200.0	—
10. ოხრა . . . . .	„	475.0	—	275.0	150.0	50.0

ბ) ადგილობრივი რესურსებიდან გასაცემი:

წითელი აგური . . . . . 529 ათასი ცალი

დაუშლელი კირი . . . . . 159 ტონა.

ბ. წინადადება მიეცეს მომარაგების სახალხო კომისარიატს და „ტაბაკიროის“ საქართველოს კონტორას წარაეღინონ მოსკოვში ერთი დეკადის ვადაზე სპეციალური მომუშავე საშენი მასალის ფონდების გამოყოფის და წარმოგზავნისა და კრედიტების გადმოგზავნის დასაჩქარებლად.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ საშენი მასალის განმანაწილებელ კომიტეტს—გამოყოს ერთი დეკადის ვადაზე „ტაბაკიროის“ საქართველოს კონტორისათვის საჭირო რაოდენობის აგური, კირი და სხვა ადგილობრივი საშენი მასალა.

7. წინადადება მიეცეს გადაზიდვის საქმეთა ადგილობრივ თათბირს—უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის ვაგონების მიცემა „ტაბაკიროის“ საქართველოს კონტორისათვის საშენი მასალის გადასაზიდად.

8. წინადადება მიეცეს „საქკოოპშენს“ შეუდგეს საწყობებისა და საფერ-მენტაციო კამერების მშენებლობას აჭარისტანის ავტ. სსრ-ში, ჩოხატაურში და



საჯავახოში და დადეს 10 დღის ვადაზე სათანადო ხელშეკრულებანი „ტაბაკ-სირიოს“ საქართველოს კონტორასთან.

9. თამბაქოს საწყობებისა და საფერმენტაციო კამერების მშენებლობა აღიარებულ იქნეს სადამკვერლო მშენებლობად და წინადადება მიეცეს:

ა) აჭარისტიანის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და ლაგოდნის, სიღნაღის, ჩოხატაურის და ზუგდიდის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—ხელი შეუწყონ „ტაბაკსირიოს“ საქართველოს კონტორას და „საქკოპშენის“ მათთვის ადგილობრივი კაპანზიდის ტრანსპორტის მიზნის საქმეში საშენი მასალის გადასაზიდად დადგენილი ფასების მიზიდვით;

ბ) საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს საწყობების მშენებლობაზე მომუშავე მუშების საგვემო მომარაგება სურსათით და სამრეწველო საქონლით.

10. პერსონალური პასუხისმგებლობა მშენებლობის გეგმის დადგენილ ვადებზე აღსრულებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარს ამხ. ქუჭულორიას და „ტაბაკსირიოს“ საქართველოს კონტორის მმართველს ამხ. დომენიას.

## II

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტ. სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს: ა) გამოარკვიოს ხუთი დღის ვადაზე აფხაზეთის ავტ. სსრ ტერიტორიაზე თამბაქოს საწყობების ქსელის მშენებლობის ობიექტები, ამ ობიექტების ღირებულება და მათი მშენებლობის დამთავრების ზღვრული ვადები, რისთვისაც ანგარიშში უნდა მიიღოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. აგვისტოს 11-ის თარიღისა და 692 №-ის დადგენილებით „აფთამბაქოსათვის“ გადადებული დამატებითი კრედიტები, და წარუდგინოს სათანადო ცნობები საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ბ) უზრუნველყოს აღნიშნული მშენებლობის სასწრაფო და დაუცვადებელი განხორციელება.

## III.

მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ აღსრულების შემოწმებელ კომისიას—მოისმინოს 1933 წ. ოქტომბრის 1-ს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და „ტაბაკსირიოს“ საქართველოს კონტორის მოხსენება თამბაქოს საწყობების ქსელის მშენებლობის შესვლელობის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

საქ. ს.კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. ვ. დუნკევიჩი.

1933 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი.

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

276. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს  
საბჭოთაო მთავრობის

სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების შესახებ.

სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო პირობების გაუმჯობესების შესახებ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის მარტის 27-ის დადგენილების (სსრკ კანკრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 128) შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

### I.

1. სამეცნიერო მომუშავეს აქვს უფლება დაიჭიროს დამატებითი ცალკეული ოთახი, ხოლო თუ ოთახი არ არის—დამატებითი საცხოვრებელი ფართობი არა ნაკლებ 20 კვ. მეტრისა.

2. სამეცნიერო მომუშავეს, რომელსაც დამატებითი საცხოვრებელი ფართობი არა აქვს, უპირატესი უფლება ეძლევა დაიჭიროს იმ ბინაში სადაც იგი ცხოვრობს განთავისუფლებული ცალკეული ოთახი.

3. ქირა მთელი საცხოვრებელი ფართობისათვის, რაც სამეცნიერო მომუშავეს უჭირავს (ძირითადი და დამატებითი), მიუხედავად იმისა, რა ზომისაა ეს ფართობი, გადახდის უნდა იქნეს ორდინარული რაოდენობით.

4. იმ სახლში, სადაც ბინის ქირის გადახვევინება სწარმოებს ადგილობრივი საბჭოების განაკვეთების მიხედვით, სამეცნიერო მომუშავე, რომლის თვიური საშოვარი თუ შემოსავალი 400 მანეთს არ აღემატება, დაქვრილი საცხოვრებელი ფართობის ქირას გადაიხდის შეზამოსამსახურეებისათვის დაწესებული განაკვეთით, ხოლო ის სამეცნიერო მომუშავე, რომლის თვიური საშოვარი თუ შემოსავალი 400 მანეთს აღემატება—ქირას გადაიხდის როგორც თავისუფალი პროფესიის პირი.

5. აკრძალულია სამეცნიერო მომუშავეს მიერ დაქვრილი ბინის იძულებით შემჭიდროება, ან ამ ბინაში ვისიმე ჩასახლება და აგრეთვე იძულებით ჩამორთმევა იმ საცხოვრებელი ფართობისა, რაც სამეცნიერო მომუშავეს უჭირავს, რაოდენიც უნდა იყოს ეს ფართობი.

6. სამეცნიერო მომუშავეს, რომელიც მივლინებაშია, მიუხედავად ამ მივლინების ხანგრძლივობისა, საცხოვრებელი ფართობი შეენარჩუნება წინანდელ საცხოვრებელ ადგილას იმ ხნის განმავლობაში, რა ხანსაც იგი წასული იქნება.

სამეცნიერო მომუშავეს აქვს უფლება ჩაასახლოს თავის საცხოვრებელ ფართობში სხვა პირები თავისი არჩევით ისე, რომ ქირა გადახდის იქნეს ჩასახლებული პირის საშოვარის მიხედვით. წასული სამეცნიერო მომუშავეს საცხოვრებ-

ბელსა ფართობში მცხოვრები პირი ვალდებულია გაანთავისუფლოს ეს ფართობი სამეცნიერო მომუშაების მოთხოვნით ხოლო თუ ამაზე უარს იტყვის, იგი ვალდებულია სახლებელ უნდა იქნეს საადმინისტრაციო წესით.

7. გარდაცვლილი სამეცნიერო მომუშაების ოჯახი სამი თვის განმავლობაში შეინარჩუნებს მთელი წინანდელი საცხოვრებელი ფართობის (ძირითადი და დამატებითი ფართობის) უფლებას და ჭირას იმავე ვადის განმავლობაში გადაიხდის ორდინარული რაოდენობით.

8. ამა დადგენილებით გათვალისწინებული უფლებები ეძლევა იმ სამეცნიერო მომუშაებებს, რომელიც გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშაებების სექციის ბიუროს რეგისტრაციაში. აღნიშნული ბიურო მისცემს სამეცნიერო მომუშავეს სპეციალურ მოწმობას იმის შესახებ, რომ მას აქვს შეღავათების უფლება.

9. ამა დადგენილებაში აღნიშნული უფლებები სამეცნიერო მომუშაებებს ეძლევათ როგორც განსაზოვადოებული სექტორის, ისე კერძო მფლობელობის სახლებში.

10. სამეცნიერო მომუშაების მიერ დაქვრივი საცხოვრებელი ფართობი, უკეთეს იგი განთავისუფლდა, გადადის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მეცნიერთა დამხმარე კომისიის განკარგულებაში სამეცნიერო მომუშაებების ჩასახლებლად.

ეს წესი არ ვაერცვლდება აღნაგობის უფლებით აგებულ სახლზე. მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამნაგობის სახლზე, საბინაო სამანევრო ფონდის სადგომზე, სასტუმროზე, საერთო საცხოვრებელზე და საწარმოს თუ დაწესებულების კუთვნილ იმ სახლზე, საიდანაც, სპეციალური კანონების თანახმად, შეიძლება გამოსახლებულ იქნეს ის მობინადრე, რომელმაც საწარმოსთან თუ დაწესებულებასთან კავშირი გაწყვიტა.

11. სამეცნიერო მომუშავეთა კოოპერატიული საბინაო მშენებლობისათვის ხელის შესაწყობად, სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები ყოველი მხრით (დაკრედიტების პირობები, პაის დაგროვების წესი, საშენი მასალით უზრუნველყოფა და სხვ.) გაუთანასწორდებიან იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს, სადაც მუშათა შედგენილობა სპარბობს.

საქართველოს სსრ კომუნალურმა ბანკმა ყოველწლიურად უნდა გაითვალისწინოს თავის გეგმაში სპეციალური კრედიტები ამ მშენებლობისათვის.

12. ამა დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამეცნიერო მომუშავეთა ბინების მიმართ შეფარდებულ იქნება საბინაო კანონმდებლობის საერთო წესები.

13. პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან იზარონ ყველა საჭირო ღონისძიება სამეცნიერო მომუშავეთა საბინაო უფლებების დასაცავად და აუცილებლად მისცენ პასუხისგებაში სასამართლოს წესით ამ უფლებების დამრღვენი.



## II.

საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

1. 1928 წლის აპრილის 25-ის დებულებაში სახლის დროებითი მდგურებისა და სახლიდან დროებით წასულებისათვის საცხოვრებელ სივრცეზე უფლების შენარჩუნების პირობების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 15 №-ი, მუხ. 143):

1. დაემატოს 1-ლი მუხლის შენიშვნას მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ეს შეზღუდვა არ გავრცელდება საცხოვრებელ ფართობზე, რაც უჭირავს სამეცნიერო მომუშავეს, უკეთეს იგი გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ბიუროს რეგისტრაციაში“.

2. მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. დროებითი მდგურის გამოსახლება მოხდება სასამართლო წესით.

დროებითი მდგურის გამოსახლება იმ სამეცნიერო მომუშავეს სადგომიდან, რომელიც გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ბიუროს რეგისტრაციაში, მოხდება ამ სამეცნიერო მომუშავეს მოთხოვნით საადმინისტრაციო წესისამებრ“.

2. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის სექტემბრის 2-ის დადგენილებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 19 №-ი, მუხ. 202):

1. 23 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 18 №-ი, მუხ. 193) დაემატოს მეოთხე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„ქირა ზედმეტი საცხოვრებელი ფართობისათვის, რაც უჭირავს პერსონალურ პენსიონერს, შრომის გმირს, სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის ან საქართველოს სსრ-ის, ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შეშავალი რესპუბლიკების ორდენებით დაჯილდოებულ პირს და სამეცნიერო მომუშავეს, რომელიც გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ბიუროს რეგისტრაციაში, გადახდის იქნება ორდინარული რაოდენობით, აღნიშნული კატეგორიების პირთა მიერ ძირითადი და დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ქირის გადახდისათვის დადგენილ საფუძველზე.“

მუხლის შესამე ნაწილში უკანასკნელი მინიშნება კანონთა კრებულზე: „1929 წ. 13 №-ი, მუხ. 129“—ამოიშალოს.

2. 23 მუხლის 1-ლი შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 43) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა 1. ქირა დამატებითი ოთახისა ან დამატებითი საცხოვრებელი ფართობისათვის, რაც ეძლევა ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეთა (სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 40; 28 №-ი, მუხ. 247; საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 18 №-ი, მუხ. 253), გადახდილ უნდა იქნეს ორდინარული რაოდენობით“.

3. 23<sup>1</sup> მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 15 №-ი, მუხ. 178) მიღებულ იქნეს შედეგი რედაქციით:

„23<sup>1</sup> შემდეგი კატეგორიის მოქალაქენი საცხოვრებელი ფართობის ქირას გადაიხდიან:

პერსონალური პენსიონერი—პენსიის და საშოვარის (თუ საშოვარი აქვს, თანაც შემთხვევითი საშოვარის ჩაუთვლელად) 50% მიხედვით;

შრომის გმირი, რომელსაც პენსიის გარდა სხვა რამ შემოსავალი არა აქვს, —ამ პენსიის 75% მიხედვით, ხოლო შრომის გმირი, რომელიც განაგრძობს მუშაობას დაქირავებით—საშოვარის მიხედვით, პენსიის ჩაუთვლელად;

ის პირი, რომელიც დაჯილდოებულია სსრ კავშირის, ა/კსფსრ-ის, ან საქართველოს სსრ-ის, ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ან და ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემაღალი რესპუბლიკების ერთი ან რამდენიმე ორდენით—შეღავათით 10%-დან 50%-მდე; შეღავათის რაოდენობას დააწესებენ ადგილობრივი საბჭოები დაჯილდოებული პირის შემოსავლის მიხედვით“.

4. დამატოს 23<sup>2</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„23<sup>2</sup> უკეთუ გარდაიცვალა ის პირი, რომელსაც აქვს საცხოვრებელი ფართობისათვის შეღავათიანი ქირის გადახდის უფლება, ეს უფლება შეენარჩუნება:

უკეთუ გარდაიცვალა პერსონალური პენსიონერი (მუხ. 23<sup>1</sup>)—მისი ოჯახის წევრს, თუ ცნობილია, რომ მას აქვს უფლება მიიღოს პერსონალური პენსია, ან შეინარჩუნოს გარდაცვლილი პენსიონერის შეღავათები;

უკეთუ გარდაიცვალა ორდენით დაჯილდოებული პირი (მუხ. 23<sup>1</sup>)—მის მეუღლეს, არასრულწლოვან შვილს და მის რჩენაზე მყოფ შრომის უნარმოკლებულ პირს;

უკეთუ გარდაიცვალა სამეცნიერო მომუშავე, რომელიც გატარებულია განათლების დარგის მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის სამეცნიერო მომუშავეთა სექციის ბიუროს რეგისტრაციაში (მუხ. 23, მეოთხე ნაწილი)—მის ოჯახს სამი თვის განმავლობაში სამეცნიერო მომუშავეს გარდაცვალების დღიდან“.

3. „სამეცნიერო. დარგის მომუშავეთა ბინებში იძულებითი შემკიდროებისა და გადასახლების აკრძალვის შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის ივნისის 5-ის დადგენილება (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. 13 №-ი, მუხ. 129) გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ. ვარამაშვილი.

277. დადგენილება ს.კ.ს.



სადგომების დაჭირაების სფეროში სარეწაო კოოპერატიული არტელებისა და თვის (ამხანაგოებისათვის) მინიჭებული შეღავათების ყრუ-მუნჯთა და უსინათლოთა შენაერთების საწარმოო ორგანიზ-ციებზე გავრცელების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენს:

სარეწაო კოოპერატიული არტელების და ამხანაგოების და აგრეთვე შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის სადგომების დაჭირაების შეღავათების შესახებ\* გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ნოემბრის 15-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებისა და მე-2 და 3 მუხლების მოქმედება (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 24 №-ი, მუხ. 247) გავრცელებულ იქნეს სრულიად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებისა და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა შენაერთის წარმოებითი ხასიათის საწარმოებზე.

საქ. სსრ ს.კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათიშვილი.

1933 წ. აგვისტოს 7.  
ტფილისი.

278. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საგარეჯოს რაიონის სარაიონო აპარატის მომუშავეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საგარეჯოს რაიონის სარაიონო აპარატის მომუშავეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით და იმის გამო, რომ სოფ. საგარეჯოში ადგილობრივი ორგანოების განკარგულებად სათანადო სადგომები არ მოიპოვება, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. ნება დაერთოს საგარეჯოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს მოახდინოს ერთი თვის ვადაზე, მდგმურების შემკიდროების წესით, 20 ოთახის ჩამორთმევა სოფ. საგარეჯოს კერძო მფლობელობის სახლებში—სარაიონო აპარატის იმ მომუშავეთა მოსათავსებლად, რომელთაც საცხოვრებელი ფართობი ესაჭიროებათ.

შემკიდროებულ უნდა იქნენ პირველ რიგში მოსახლეობის არამშრომელი კატეგორიები, ხოლო, უკეთეს მართა ამ კატეგორიების შემკიდროებით ვერ მოხდება ზემოაღნიშნული საჭიროებოს დაქვეყნებულმა, შეიძლება შემკიდროებულ იქნენ აგრეთვე მოსახლეობის მშრომელი კატეგორიებიც. შემკიდროება სწარმოვებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით საადმინისტრაციო წესისამებრ.

2. დაწესებულ იქნეს, რომ კერძო მფლობელობის სახლებში ზემოაღნიშნული წესით ჩასახლებული პირნი საბინაო ჭირას იხდიან საბინაო ჭირის იმ განაკვეთების მიხედვით, რაც მოქმედობს ქ. თელავში.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის თავმჯდომარის შოფ. აღმ. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს.კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა. კ-ის მდივნის მაგ. მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. აგვისტოს 16.  
ტფილისი.

### უ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

279. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. *ქართული  
კომუნისტური  
პარტია*

„1933 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების თაობაზე“ გამოცემული 1933 წ. ივლისის 25-ის დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

მე-8 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივლისის 25-ის დადგენილებისა „1933 წელს სოფლის მოსახლეობის თვითდაბეგვრის ჩატარების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-18 №-ი, მუხ. 255) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა მეურნეობანი თვითდაბეგვრაში მონაწილეობას იღებენ შემდეგი რაოდენობით:

გადამხდელთა კატეგორიები	თვითდაბეგვრის რაოდენობა მეურნეობაზე
I. იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთაც არა აქვთ არაჯანსაღოვადობებული შემოსავალი, ან რომელნიც 1933 წელს განთავისუფლებულ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.	5 მან.
II. კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლებიც 1933 წ. დაბეგვრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით . . . . .	8 მან-დან 16 მან-მდე
III. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან . . . . .	8 მან.
IV. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომელნიც 1933 წელს დაბეგვილ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით და რომელთაც აქვთ დასაბეგვრი შემოსავალი არა უმეტეს 200 მანეთისა . . . . .	12 მან-დან 20 მან-მდე
V. ინდივიდუალური მშრომელი მეურნეობანი, რომელნიც 1933 წელს დაბეგვილ არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადით პროგრესიული განაკვეთების კვალობაზე და რომელთაც აქვთ დასაბეგვრი შემოსავალი 200 მან. მეტი . . . . .	სას.-საპ. გადასახადის განაკვეთის 60%-დან 100%-დე, ხოლო არა ნაკლებ მე-IV კატეგორიისათვის მიღებული განაკვეთისა.

თვითველ სოფელში დაიდგინება ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-II კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის, ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-IV კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის, ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-III კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის, ერთიანი მტკიცე განაკვეთი მე-V კატეგორიის ყველა მეურნეობისათვის.

რის ყველა მეურნეობისათვის და თანაბარი პროცენტული შეფარდება თვით-  
დაბეგვრისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან მე-V კატეგორიის მეურ-  
ნეობისათვის.

სასოფლო საბჭოებს უფლება აქვთ განთავისუფლონ ნაწილობრივ ან სრულად თვითდაბეგვრისაგან კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნეთა ცალკეული მეურნეობანი, რომლებიც 1933 წელს განთავისუფლებულია ნაწილობრივ ან სრულად სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან\*.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. აღმ. თ. ფლენტი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. შვალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მოვ. აღმ. მ. ვარამაშვილი.

1933 წ. აგვისტოს 11.  
ტიფლისი.

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

### 280. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლესი სასწავლებლების მსმენელთა საშემოდგომო კომპლექტის სოციალური შედგენილობისა და იმავე სასწავლებლების 1933/1934 წლის საშემოდგომო კომპლექტის ანგარიშში საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა და კულტურულად ჩამორჩენილ რაიონთათვის ადგილების დაბრონირების შესახებ.

1933 წელს შემოდგომას საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლებისა, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების დაკომპლექტების შესახებ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1933 წ. ივლისის 8-ის დადგენილების დრსამატებლად (საქ სსრ. კან. კრ. 1933 წ. მე-17 №-ი, მუხ. 141) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლესი სასწავლებლების 1933/1934 წელს მოსწავლეებით დაკომპლექტების შემდეგი ნორმები სოციალური კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად:

უმაღლესი სასწავლებლების სახელწოდება.	მეზობი და მათი შვილები.	კოლმეურნეობი და მათი შვილები	ღარიბი და საშუალო კლასები და მათი შვილები	დაწავლებლები და მათი შვილები	სტეკილისტები და მათი შვილები	წითელარბი, და გაერთიანებულ, კომუნისტურ, საბჭოურ, კოლხიტ, სპ. მომუშავე.	მოსამსახურეობი და მათი შვილები	ქ ა ლ მ ბ ი	მამაკაცი
სახელმწიფო უნივერსიტეტი	50	25	14	5	4	2	3	40	60
პედაგოგ. ინსტიტუტი . .	35	30	15	10	5	2	3	50	50
სამხატვრო აკადემია . . .	30	30	15	10	10	3	2	50	50
სახელმწ. კონსერვატორია.	30	25	10	10	10	10	5	40	60



2. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის უმაღლესი სასწავლებლების 1933/1934 სამოსწავლო წელს მოსწავლეების დაკომპლექტების დროს საქართველოს სსრ ეროვნულ უმცირესობათა დამკვიდრებლად ზამორჩენილ რაიონთათვის დაბრონირებულ იქნეს ადგილების შემდეგი რიცხვი:

რ ა ი ო ნ ე ბ ი	სახელმწიფო უნივერსი- ტეტი	ქუთაისის პე- დაგოგიური ინსტიტუტი	კონსერვატო- რია	სამხატვრო აკადემია
დუშეთისა . . . . .	5	5	—	—
ზვეისა . . . . .	3	5	—	—
თიანეთისა . . . . .	3	5	—	—
წალკისა . . . . .	1	1	—	1
ყარაიას . . . . .	1	—	—	—
ბორჩალოს . . . . .	1	1	1	1
ლუჭემაბუჯისა . . . . .	1	1	—	1
ბაშკირეთისა . . . . .	1	1	—	—
* ახალციხისა . . . . .	1	2	1	1
ადიგენისა . . . . .	1	1	—	—
ახალქალაქისა . . . . .	1	1	—	1
ტოლოშისა . . . . .	1	1	—	—
ბოგდანოვკისა . . . . .	1	1	—	—
ქვემო-სვანეთისა . . . . .	2	3	—	—
ზემო-სვანეთისა . . . . .	2	4	—	—
აფხაზეთის ავტ. სსრ . . . . .	5	7	4	2
აჭარისტანის ავტ. სსრ . . . . .	15	15	5	3
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . . . . .	3	5	3	2
ს უ ლ . . . . .	48	59	14	12

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თაკუჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის შოადგ. გ. თათიშვილი.

1933 წ. აგვისტოს 11.

ტფილისი

## 281. დადგენილება



1933 სასწავლო წელს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო წიგნების თავის დროზე შემოზიდვის ღონისძიებათა შესახებ.

1933 სასწავლო წელს დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის სასწავლო წიგნების თავის დროზე მიწოდების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ-ისა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატების სისტემის დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის საჭირო სასწავლო წიგნების, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა და რაც შემოიზიდება სხვა რესპუბლიკებიდან, ანაწილებენ ცალკეულ სკოლებს შორის სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებანი, ამ უკანასკნელთა და სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებათა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციათა შორის დადებული საერთო ხელშეკრულებების საფუძველზე.

2. დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას, საქართველოს სსრ-სა და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებს და სახალხო განათლების სარაიონო განყოფილებებს—უზრუნველყონ ახლად გამოცემული სტაბილური და სკოლებში სახმარებლად ნებადართული სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიწოდენა არა უგვიანეს 1933 წ. სექტემბრის 1-ისა.

3. პასუხისმგებლობა რკინის გზების სადგურებზე, წყალსავალი გზების ნავთსაყუდებზე და ფოსტის განყოფილებებში ტვირთად მოსული სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისათვის და აგრეთვე სასწავლო წიგნების სკოლებამდე მიზიდვისათვის დაეკისროს სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებს.

4. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს თავის დროზე ხელშეკრულებების დადებისათვის სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებებთან და წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებთან, აგრეთვე სასწავლო წიგნების სასყიდლად საჭირო სახსრის გამოყოფისათვის და სასწავლო წიგნების სკოლებამდე მისაწოდენად სატრანსპორტო საშუალებათა მიზნისათვის.

5. შექმნილი სასწავლო წიგნების ანგარიშს სახელმწიფო გამომცემლობის ადგილობრივ განყოფილებებთან და სხვა წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციებთან ასწორებენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები და საქალაქო საბჭოები; ამასთანავე, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული ორგანიზების მიერ ყველა საჭირო სახსრის გამოყოფა მიღებული სასწავლო წიგნების შესაძენად, რისთვისაც უნდა გამოიყენონ როგორც საბიუჯეტო სახსარი, ისე სკოლის დამხმარე საბჭოებისა და მშობლების სახსარი და აგრეთვე ახალი სა-

სწავლო წლისათვის მომზადების თვიურის ჩატარებასთან დაკავშირებით საშე-  
ურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან შემოსული სახსარები.

6. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სკოლათა გამომცემლობის სახელმწიფო სასწავლო წიგნებზე განაცხადების თავის დროზე წარდგენისათვის, სახელმწიფო გამომცემლობის განყოფილებიდან სასწავლო წიგნების თავის დროზე მიღებისა და მოსწავლეთა შორის განაწილებისათვის და სასწავლო წიგნებისა და სასწავლო დამხმარე წიგნების შესაძენად მოსწავლეთა და მშობელთა შორის ავანსების შეკრფისათვის.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს— მისცეს ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს სათანადო დირექტივები ამ საკითხის გამო.

7. პასუხისმგებლობა სასწავლო წიგნების თავის დროზე შეზიდვისა და სკოლებზე განაწილებისათვის დაეკისროს განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით—ამხ. გეგენავას და სახელმწიფო გამომცემლობის ხაზით—ამხ. ბიბინეიშვილს და ამხ. ლორთქიფანიძეს.

საქ. სსრ. ს.კ.ს.ოს-თავმჯდომარე გ. შვალახლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. აგისტოს 14.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 194 №-ში 1933 წ. აგისტოს 23.

## 282. დადგენილება ს. კ. ს.

**მასწავლებელთა და პოლიტგანათლების მომუშავეთათვის ლიტერატურის შესაძენად შეღავათიანი პირობების დაწესების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს სახელმწიფო გამომცემლობას, „ტექნიკისა და შრომის“ გამომცემლობას და ყველა წიგნმწოდებელ ორგანიზაციას დააწესონ ფასდაკლება 25%-ის რაოდენობით ნომინალიდან მასწავლებლებისა და პოლიტგანათლების მომუშავეებისათვის მისაყიდ წიგნებზე, რაც მათთვის საქიროა ცოდნის ცალკეული დარგებისა და პედაგოგიური საკითხების სფეროში.

2. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო გამომცემლობას განსაზღვრონ და გამოაქვეყნონ, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მასწავლებლებისა და პოლიტგანათლების მომუშავეებისათვის აღნიშნული წიგნების შეღავათიანი პირობით მიყიდვის წესი.

საქ. სსრ. ს. კ. ოს-ს თავმჯდომარე გ. შვალახლიშვილი

საქ. სსრ ს. კ. ოს-ს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათეიშვილი.

1933 წ. აგისტოს 31.

ტფილისი.

## 283. დადგენილება ს. ქ. ს.

## ბექდვითს ნაწარმოებებზე სავალდებულო აღნიშვნების შესახებ.

ბექდვითი ნაწარმოებების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის გაუმჯობესებისა, გამომცემლობათა მიერ მათთვის მიცემული ქალაქის ნორმების გამოყენებისათვის კონტროლის გაწევის უზრუნველყოფისა და აგრეთვე ბექდვითი ნაწარმოებების საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო აღრიცხვისა და კლასიფიკაციის გაადვილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მომქმედი ყველა გამომცემლობა და აგრეთვე ყველა დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და პირი, რომელიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსცემს ბექდვითს ნაწარმოებს, მოვალეა მის მიერ გამოშვებული წიგნის, ბროშურის, ჟურნალის, ბიულეტენის, ვაზეთის, ფურცლის, ნოტების, გეოგრაფიული რუკის და პლაკატის თვითველ ეკვემპლარზე აღნიშნოს:

ა) გამომცემლობის და სტამბის სახელწოდება, გამოცემის ადგილი და დაბეჭდვის წელიწადი;

ბ) ვასაყიდი ფასი (ნომინალი) ან რომ „უფასო“;

გ) დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ან პირის მიერ უწყებულ საკალენდრო წელს გამოშვებული გამოცემის რიგობითი ნომერი;

დ) პასუხისმგებელი და ტექნიკური რედაქტორების გვარი;

ე) გამოცემის ქალაქის ფორმატი და ერთ ეკვემპლარში მოთავსებული ქალაქის ფურცლების რაოდენობა;

ვ) ერთ ბექდვის ფურცელზე მოთავსებული ბექდვითი (სტამბური) ნიშნების საერთო რიცხვი (შრიფტის სიმჭიდროვე);

ზ) ფაქტურად დაბეჭდილი ეკვემპლარების რიცხვი (ტირაჟი);

თ) გამოცემის წარმოებაში (ასაწყობად) ჩაბარებისა და დასაბეჭდად გაშვების ხელის მოწერის დრო;

ი) ლიტერატურისა და გამომცემლობის საქმეთა მთავარი სამმართველოს (მთავლიტი) ადგილობრივი ორგანოს ან რწმუნებულის ნომერი;

კ) სტამბის შეკვეთის ნომერი.

2. ქ. ტფილისში გამომცემულ წიგნს და ბროშურას, ამის გარდა, უნდა ჰქონდეს საკლასიფიკაციო აღნიშვნა (ათეულობითი ინდექსი, კეტერის ნიშანი, რუბრიკაცია). ამ აღნიშვნებს იძლევა სახელმწიფო წიგნის პალატა; ამისთვის თვითველი გამოსაცემი წიგნი თუ ბროშურა, ტირაჟის დაბეჭდვამდე, პოლიგრაფიულმა საწარმომ უნდა წარუდგინოს სახელმწიფო წიგნის პალატას განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესით.

3. 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული ცნობები მოთავსებულ უნდა იქნეს:

ა) 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული—გარეკანზე და თავფურცელზე, ხოლო, უკეთეს გარეკანი და თავფურცელი გამოცემას არა აქვს, — უკანასკნელ გვერდზე, ტექსტის შემდეგ;

ბ) 1-ლი მუხლის „გ“-„კ“ პუნქტებში აღნიშნული—უკანასკნელ გვერდზე, ტექსტის შემდეგ;

გ) მე-2 მუხლში აღნიშნული—გარეკანზე და თავფურცელზე, ხოლო, უკეთეს გარეკანი და თავფურცელი გამოცემას არა აქვს, —პირველ გვერდზე.

4. ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს ორგანოებმა არ უნდა ვასცენ ნებაართვა ამა დადგენილებაში აღნიშნული ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოშვებაზე, უკეთეს მათ არა აქვთ საჭირო აღნიშვნები.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ უნდა წარუდგინოს კვარტალობით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომცემლო და საგამომცემლო პოლიგრაფიული მრეწველობის საქმეთა სამმართველოს დამუშავებული ჯუმლები გამოსული ბეჭდვითი პროდუქციის შესახებ. 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ცნობების შესაბამისად.

საქ სსრ ს. კ. ს.ოს თავმჯდომარე გ. შვალაბლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს.ოს საქმეთა მმართველის მოადგ. გ. თათვიშვილი.

1933 წ. აგვისტოს 5.

ტფილისი.

#### 284. დადგინილება ს. კ. ს.

„უალრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების თაობაზე“ გამოცემული დადგინილების მე-4 მუხლის 2 ლიტერის მე-4 პუნქტის და მე-8 და 12 მუხლების შეცვლისა და მე-9 მუხლის ამოშლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1932 წლის ივნისის 23-ის დადგენილებაში „უალრესი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო წიგნთსაცავებისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გამოსული გამოცემების მიწოდების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. 22 №-ი, მუხ. 217) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის 2 ლიტერის მე-4 პუნქტში სიტყვები: „ტფილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკას“ შეიცვალოს სიტყვებად: „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას“.

2. მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. ლიტერატურისა და გამოცემლობის საქმეთა მთავარ სამმართველოს ეკისრება ნებაართვა არ მისცეს პოლიგრაფიულ საწარმოს გამოშვას გამოცემის დაბეჭდილი ტირაჟი, ვიდრე იგი არ წარადგენს იმის საბუთს, რომ მან კუთვნილებისამებრ ჩააბარა სავალდებულო (უფასო და ფასიანი) ცალგები: ქ. ტფილისი-



ში—საქართველოს სსრ საბიბლიოთეკო კოლექტორის ხელწერილს, სადა აღნიშნული ცალკების მალემაზე, ხოლო სხვა ადგილებში—ფოსტის ქვითაზე ცალკების სიის ასლითურთ\*.

2. მე-9 მუხლი ამოშლილ იქნეს.

4. მე-12 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„12. პოლიგრაფიული საწარმოს მიერ მე-8 მუხლის მოთხოვნის შეუსრულებლად პროდუქციის გამოშვება გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისტლის სამართლის კოდექსის 205 მუხლის თანახმად.“

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველის მაგ. ვ. ლუნევიჩი

1933 წ. აგვისტოს 5.

ტფილისი.

## 285. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის შესახებ.

ვინაიდან აუცილებელ საქიროებას წარმოადგენს ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის განხორციელება მისი ყოველმხრივ გაუმჯობესებისა (სილამაზე, სიმარტივე, გარკვეულობა და ეკონომიურობა) და თანდროულ სასტამბო ტექნიკასთან შეფარდების მიზნით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმისათვის სისტემატური ხელმძღვანელობის გასაწევად—სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოწოდებულ იქნეს ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის ხელმძღვანელი კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხანაგი ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ე. ბედია (თავმჯდომარის მოადგილე), აკადემიკოსი ნ. მარტი, ვ. ორაგველიძე, მ. ტორეშელიძე, ნ. კიკნაძე, პაატაშვილი, ბ. ბიბინიშვილი, მ. გოგუაძე, შევარდნაძე, შარლემანი, დ. კაკაბაძე, ლ. აღნიაშვილი, ა. შანიძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. ჩიქობავა და კ. კეკელიძე.

2. წინადადება მიეცეს ამ კომიტეტს—შეაგროვოს და შეისწავლოს დღემდე ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის სფეროში ჩატარებული მუშაობის მასალა და სასწრაფო წესით შეუდგეს სასტამბო შრიფტის ნიმუშების დამზადებას და შემოწმებას ბეჭდვითი საქმის სხვადასხვა დარგის ხაზით.

3. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—მოაწიროს პედაგოგიკისა და პედოლოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტთან საცდელ-საკვლევო ლაბორატორია ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის საქმისათვის მომსახურების გასაწევად.

4. ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის დაფინანსება დაეკისრეს განათლების სახალხო კომისარიატს, „სახელგამს“, „პოლიგრაფტრესტს“ „კომუნისტის“ გამომცემლობას და „შრომისა და ტექნიკის“ გამომცემლობას.

წინადადება მიეცეს ამ ორგანიზაციებს:

ა. გაიღონ 1933 წელს შრიფტის რეფორმის საქმეში მუშაობისათვის შემდეგი თანხები:

- 1) განათლების სახალხო კომისარიატმა . . . . . 10.000 მან.
- 2) „სახელგამს“ . . . . . 20.000 „
- 3) გაზ. „კომუნისტმა“ . . . . . 20.000 „
- 4) „პოლიგრაფტრესტმა“ . . . . . 10.000 „
- 5) „შრომისა და ტექნიკის“ გამომცემლობამ . . . . . 10.000 „

ბ. გაითვალისწინონ თავიანთ 1934 წლის ხარჯთაღრიცხვებსა და სამრეწველო და საფინანსო გეგმებში აღნიშნული რეფორმის ჩასატარებლად საჭირო სახსარი ქართული სასტამბო შრიფტის რეფორმის ხელმძღვანელი კომიტეტის მიერ შედგენილი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განაწილების მიხედვით.

- სრ. საქ. ც. ა.კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. უღნტი.
- საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. შვალაძის შვილი.
- სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მაგ. შ. ვარაშაშვილი.

1933 წ. აგვისტოს 31.  
ტფილისი.

### ჯანმრთელობის დაცვა

#### 286. დადგენილება ს. კ. ს.

კურორტ წყალტუბოს სამთო-სახანიტარო ზონის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. კურორტ წყალტუბოს სამთო-სახანიტარო დაცვის ზონა დადგენილ იქნეს შემდეგ საზღვრებში (ტოპოგრაფი ჩაპლინსკის გეგმით): აღმოსავლეთით—სამგურალის ქედი 274,0, 270,19 (კარისბი), 223,0 (შთა სათაფლიე) სიმაღლეების გაყოლებით და შემდეგ ოლასყურის ღელე ზონის ძველ გზამდე; სამხრეთით—ზონის ძველი გზა, რომელიც მიდის საღომალის ქედზე და გადასჭრის მდინ. წყალტუბოს, მდინ. გუბის-წყალამდე; დასავლეთით—მდინ. გუბის-წყალი

57,0 სიმაღლემდე და  $\frac{22'20''}{112'6''}$  წერტილამდე; ჩრდილოეთით—  $\frac{22'29''}{11'19''}$  წერტილდან  $\frac{22'38''}{11'49''}$   $\frac{22'30''}{11'26''}$  წერტის, 106,9 სიმაღლისა,  $\frac{22'59''}{13'30''}$   $\frac{23'24''}{13'16''}$   $\frac{23'24''}{16'37''}$  და  $\frac{23'37''}{17'26''}$  წერტების გაყოლებით 274,0 სიმაღლემდე.

2. წინა მუხლით გათვალისწინებულ საზღვრებში მოქცეული ტყის მკვლავითობი ცნობილ იქნეს როგორც დაცვითი ტყე და გადაეცეს საქართველოს სსრ მთავარ საკურორტო სამმართველოს სატყეო მეურნეობის მუხავწყობის და საწარმოებლად იმ საერთო წესისამებრ, რაც დადგენილია საკურორტო მნიშვნელობის მქონე ტყეებისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი

საქ. სსრ ს. კ. ს-ის გ. გ. თათიშვილი

1933 წ. აგვისტოს 29.

ტფილისი.

## სოციალური უზრუნველყოფა

### 287. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულების მე-5 მუხლისა, მე-8 მუხლის „ზ“ პუნქტისა და მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დებულებაში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-ი, მუხ. 42) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლში საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების მე-9-18 მუხლებზე მინიშნება შეიცვალოს „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულების 15-23 მუხლებზე (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146)“ მინიშნებად.

2. მე-8 მუხლის „ზ“ პუნქტში სიტყვა „სამაზრო“ შეიცვალოს სიტყვად „ადგილობრივი“.

3. მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები არიან საქალაქო (ქალ. ტფილისში) და სარაიონო განყოფილებანი და სოციალური უზრუნველყოფის ინსპექტურები, რომელიც მოქმედობენ მათი შესახები განსაკუთრებული დებულებების თანახმად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. თ. ჟღენტი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მაგ. მ. ვარაშაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 201 №-ში 1933 წ. სექტემბრის 1.



288. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.


 ქართველთა  
 კავშირი

## სისხლის სამართალი

სისხლის სამართლის კოდექსის 85 მუხლის მე-2 ნაწილის ხანკეიის პილო  
 სიტყვების შეცვლის შესახებ.

იქსვერ ადგილობრივი უწყისების დებულების 22 მუხლის დამატების  
 შესახებ გათვალისწინებული ინიციატივის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-  
 ტის 1933 წ. მაისის 17-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართვე-  
 ლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო  
 კომისარიატის სახეივანე:

სისხლის სამართლის კოდექსის (1933 წლის გამოცემით) 85 მუხლის მე-2  
 ნაწილის ხანკეიის პილო სიტყვები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„უკანონოდ მოპოვების ჩამორამებით და უკანონოდ მოკრიბი, გატაცე-  
 ბული, ვადგურებული ან დაზიანებული ტყის ერთეული ღირებულების გა-  
 დაბრუნებით საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შე-  
 მოხელად, სოლო, უკეთუ დარღვევა ჩადენილია ადგილობრივი პნიშენელობის  
 შტონე ტყეში, — ადგილობრივი მიწვევების შემოსავლად“.

ს. ს. ს. კ. ა. კ.-ის თავმჯდომარის მ. დ. ა. თ. ფლენტი

ს. კ. ს. ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. შვალაძე-ი შვილი

ს. ს. ს. კ. ა. კ.-ის მდივნის მ. ვ. ვაჩაშვილი.

1933 წ. ივლისის 27.

ტელაშვილი

გამოქვეყნდა საქ. კომიტეტის 212 №-ში 1933 წ. სექტემბრის 2.

სამხარეთმშროს სოც. საზმ. რესპუბლიკის

ბეჰალია და გლუსთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებულის

— საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს და ეკონომიური

საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა —

— (გამოცემის ბარათი და რეგულ ნაწი) —

ხელის მოწერის ფასი 1934 წლისათვის

(თეთრი ტიპის)

===== 10 მ ა ნ ე თ ი =====

ხელის მოწერა მოიხდება ერთი წლით იანვრის 1-დან დეკემბრის 31-მდე

საბჭოთა წლით იანვრის 1-დან ივნისის 30-მდე.

# გ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის

## კანონთა და განკარგულებათა კრებულის

უფახოდ დაგზავნიხათვის 1934 წელს

№№ რიგზე	დაწესებულებანი	ცალენის რიცხვი
1	აგრონომიური რესპუბლიკების და აგრონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს . . . . .	5
2	სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს . . . . .	2
3	სასოფლო საბჭოებს . . . . .	1
4	საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებს და მათ თანაბარ ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	3
5	საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატს . . . . .	7
6	აგრონომიური რესპუბლიკების და აგრონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს და ცენტრალურ სამმართველოებს . . . . .	2
7	აგრონომიური რესპუბლიკების და აგრონომიური ოლქის იუსტიციის ცენტრალურ ორგანოებს . . . . .	3
8	საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს . . . . .	12
9	აგრონომიური რესპუბლიკების და აგრონომიური ოლქის უმაღლეს და მთავარ სასამართლოებს . . . . .	5
10	სახალხო სასამართლოებს . . . . .	1
11	სარაიონო პროკურორობებს . . . . .	1
12	სახალხო გამოძიებლებს . . . . .	1

ფასა 60 კაპ.